პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

ორგან ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

ხუთშაბათი 15 ივნისი 1939 წ.

№ 135 (5535)

ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

წითელი არმიის რიგებში გაწვევა ჩავატაროთ ორგანიზებულად (მეორე ნაკვეთი)
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივის თათბირი (1-ლი გვ.)
კოლხიდის ამოშრობის ტექნიკური პროექტი და გენერალური ხარჯთაღრიცხვა (1-ლი გვ.)
პროფკავშირული ორგანიზაციის ანგარიშგება და არჩევნები (მე-2 გვ.)
ო. თოდაძე—ჯანმრთელობის დაცვის საბრძოლო ამოცანები (მე-3 გვ.)
პარტიულ - მასობრივი მუშაობა მახარაძის რაიონში (მე-3 გვ.)
ე. ნ. უმიკოვი — კოჯორი (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

გერმანული პრესის ანტიპოლონური კამპანია (მე-4 გვ.)
ბერლინში ლატვიისა და ესტონეთის შინისტრების მოლაპარაკების შესახებ (მე-4 გვ.)
ფაშისტური ტერორი ესპანეთში (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიაში (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკელი მოღალატეები ფაშისტურ საპყრობილეში (მე-4 გვ.).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სამმართველოს პავილიონი.

საკდესის ფოტოქრონიკა

წითელი არმიის რიგებში გაწვევა ჩავატაროთ ორგანიზებულად

ორთვენახევრის შემდეგ დაიწყება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევა.

სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები უდიდესი მოუთმენლობით ელიან ამ დიდად სანატრელ დღეს, რომელიც განახორციელებს მათი დიდი ხნის ოცნებას: ჩადგნენ უძლეველი წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში და შაშხანით ხელში მტკიცედ დაიცვან საბჭოთა ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელშეუხებლობა.

დიდია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სიყვარული თავისი წითელი არმიისადმი, რომელიც მათი სისხლი-სისხლთაგანია და ხორცი-ხორცთაგანი. მრავალი მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი ახალგაზრდა, რომელსაც კანონით ჯერ კიდევ არ უწევს გაწვევა, თხოულობს მოხალისედ მიღებას წითელ არმიაში. ბევრი ახალწვეული უარს აცხადებს კანონით მისთვის მინიჭებულ შეღავათებზე და თხოულობს წითელი არმიის რიგებში ჩარიცხვას. მრავალია იმის მაგალითებიც, როდესაც მშობლები სთხოვენ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატს, რათა მათი შვილი „არ გაუბედურონ“ და უარი არ უთხრან წითელი არმიის რიგებში გაწვევაზე.

ასეთი ინტერესი და განუზომელი სიყვარული წითელი არმიისადმი კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მამაცმა მებრძოლებმა სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვისათვის გმირული ბრძოლის ფურცლები ჩასწერეს ხასნის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლის ისტორიაში.

ლენინგრადის სამხედრო ოლქიდან წითელარმიელი ამხ. დიმიტრი პაიჭაძე, რომელიც გასულ წელს იქნა გაწვეული წითელი არმიის რიგებში, იწერება: „ახ, ნეტავი იცოდეთ ამხანაგებო, რა წარმტაცად, რა ტკბილად ფრქნობ თავს! ანდა რა დამაღონებს? მე ხომ სკოლაში ვარ, სადაც ჩემს ამხანაგებთან ერთად გულდასმით ვსწავლობ სამხედრო ტექნიკას, ვეუფლები საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების მაღალ მწვერვალებს, რომ საჭირო შემთხვევაში თავზარი დავცეთ მისსავე ტერიტორიაზე ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებულ მტერს! ხალისიანია ჩვენი ცხოვრება, ენტუზიაზმითაა აღსავსე ფუფეული მებრძოლის სულისკვეთება და სამშობლოს სიყვარულით აღზნებული ყველა მებრძოლნი წითელარმიელნი ვმღერით:

„ჩვენ სამშობლოს საზღვრებს ვიცავთ
არ გვსურს ომი—სისხლის ღვარი
და ძირს დავცემთ, თუ დაგვესხა
მტერი ყოველად საზიზღარი“.

და მათთან ერთად, ასევე აღტაცებით მღერიან მთელი ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები, რომელნიც მტკიცე ნებიჯით მიდიან წითელი არმიის მებრძოლთა რიგების შესავსებად.

ახალწვეული ჩხოროწყუს რაიონიდან ამხ. ვარლამ თოდუა ჩხოროწყუს რაიონის სამხედრო კომისარიატისადმი გაგზავნილ წერილში სწერს: ვთხოვ გამწვევ კომისიას, როგორც საექიმო კომისიის დასკვნით ჯანმრთელი, გამიწვიოს წითელი არმიის რიგებში და არ გაავრცელოს ჩემზე შეღავათები. ვიძლევი პირობას, რომ სამშობლოს დავიცავ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“.

ასეთივე გრძნობითაა გამსჭვალული ყველა ახალწვიული. რომელთაც ხვდათ უდიდესი ბედნიერება—გაწვევა წითელი არმიის რიგებში.

საქართველოში წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევისათვის მოსამზადებელი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ამ მხრივ მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ახალქალაქის, ცხაკაიას, ხობის, ფოთის, ლუქსემბურგის, ახალციხის, მახარაძის, ბათუმის და მთელი რიგი სხვა რაიონები. ამ რაიონებში სანიმუშოდ არის დაყენებული მუშაობა წვევამდელთა შორის. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე-მცოდნე წვევამდელები, რომელთა რაოდენობა არცთუ ისე დიდია, ჩაბმული არიან სწავლებაში, კარგად არის დაყენებული მათი საექიმო პროფილაქტიკური მომსახურება, წვევამდელები აბარებენ თავდაცვითს ნორმებს ნიშნებზე და სხვ. მაგრამ ყველგან ასე როდია?

ცაგერის რაიონში წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევისთვის სუსტად ემზადებიან. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, წვევამდელთა შორის პირველ მაისამდე უნდა მოეხდინათ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს საქმე სინამდვილეში ჩაშლილია. ორბელის, ჩხუტელის, აღვის, წიფერჩისა და ქულბაქის სასოფლო საბჭოებში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. სუსტია აგრეთვე ადგილობრივი კომკავშირის, თავდაცვა-ავიაქიმისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა წვევამდელთა შორის.

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის დირექტორი და პარტკომის მდივანი არ აფასებენ გაწვევის უდიდეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ფაბრიკის წვევამდელები, რომლებიც ჩაბმული არიან სკოლაში, ხშირად აცდენენ მეცადინეობას, მათ შორის სუსტადაა დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია კი ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი ჩხოროწყუს რაიონი. ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველად დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ გაწვევის საკითხებისადმი. გარდა იმისა, რომ ცუდად არის დაყენებული უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა ჩაბმა სკოლებში, დღემდე რაიონში არცერთი ნიშნოსანი წვევამდელი არ მოუმზადებიათ. ნაწილობრივ მსგავსი მდგომარეობაა ყაზბეგის, ყვარლის თბილისის და მთელ რიგ სხვა რაიონებშიც.

გაწვევის პრაქტიკულად დაწყებამდე მცირე დრო-ღა დარჩა. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გაწვევის საქმეში არსებული დეფექტები დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, თავდაცვა-ავიაქიმის და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ იქითკენ, რომ მაღალ საფეხურზე იქნას აყვანილი წვევამდელთა პოლიტიკური აღზრდის, მათი ფიზიკური და საბრძოლო მომზადების საქმე.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ დროა თავი დაანებოს კარჩაკეტილ მუშაობას. მისი მოვალეობაა ისეთნაირად გარდაჭრნას მუშაობა, რომ, როგორც ამხ. **ვოროშილოვი** პარტიის XVIII ყრილობაზე ამბობდა, ნამდვილად დაეხმაროს „წითელ არმიას სამხედრო სპეციალობის კადრების წინასწარი გამოწრთვნის „შავი“ მუშაობის საქმეში“.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე პარტიის რაიკომებთან შექმნილმა სამხედრო განყოფილებებმა კიდევ უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სამხედრო ორგანოებს გაწვევის საუკეთესო ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

ყველა პირობები მოგვეპოვება იმისათვის, რომ წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევა ჩავატაროთ „ფრიადზე“. ამ საბრძოლო ამოცანის ბოლშევიკურად განხორციელების ირგვლივ უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და თავდაცვა-ავიაქიმის აქტივი.

სტალინის ქანდაკება საქართველოს პავილიონისათვის

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). ლენინგრადიდან დაბრუნდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის დირექტორი ამხ. ბუჯიაშვილი. ლენინგრადში მან მიიღო ერთერთ სახელოსნოში ამხ. კაკაბაძის პროექტის მიხედვით დამზადებული ქანდაკება, რომელიც გამოსახავს ამხანაგ სტალინს ახალგაზრდობაში. ეს ქანდაკება გამოკვეთილია ქვიდან და უკვე მიიღეს მოსკოვში. ქანდაკება დაიდგმება საქართველოს პავილიონის ცენტრალურ დარბაზში.

საბჭოების სასახლის მშენებლობაზე

საბჭოების სასახლის მშენებლობის სამმართველოში დაიწყო მზადება მონუმენტური სკულპტურის სრულიად - საკავშირო კონკურსისათვის; სკულპტურა უნდა დაიდგას ჩვენი ეპოქის ამ უდიდეს შენობაზე. ქანდაკებათა ათი ჯგუფი უნდა მოთავსდეს შენობის გარე ნაწილზე. ეს ჯგუფები ასახავს სამოქალაქო ომის ჰეროიკას, სოციალისტურ მშენებლობასა და პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას. შენობის შესასვლელთან დაიდგმება მარქსისა და ენგელსის ძეგლები.

საუკეთესო საკონკურსო ნამუშევართა დაჯილდოებისათვის განზრახულია მილიონი მანეთის გადადება. წესდება დაახლოებით 100 ჯილდო.

მფრინავი ნავი „სსსრ ნ—303“ გაფრინდა ნარიან-მარში

არხანგელსკი, 13 ივნისი (საკდესი). დღეს 18 საათსა და 23 წუთზე მფრინავი ნავი „სსსრ ნ—303“, რომელსაც მართავს პოლარული მფრინავი ნ. ლ. სიროკვაშა არხანგელსკიდან გაფრინდა და კურსი აიღო ნარიან-მარისაკენ. ნავმა უნდა ჩაატაროს ყინულების დაზვერვა ბარენცისა და კარის ზღვებში მომავალი არქტიკული ნავიგაციის უზრუნველსაყოფად.

აეროსტატი „სსსრ ვრ—67“ (მეთაური ამხ. კრიკუნი) დაეშვა ოსტროვის რაიონში.

ხოლო „სსსრ ვრ—69“ (მეთაური ამხ. ნევეროვი)—პერესლავლის რაიონში. აეროსტატი „სსსრ ვრ—72“, რომელსაც მართავდა ამხ. ბარანოვსკი, დაეშვა იაროსლავლის რკინიგზის სემიბრატოვოს სადგურის მახლობლად.

აეროსტატების ეკიპაჟებმა დაშვებისთანავე ჩაატარეს საუბარი კოლმეურნეებთან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. მოფრენილ აეროტატორებს მოსახლეობა გულთბილად შეხვდა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმისადმი მიძღვნილ კრებებს 10.000-მდე კაცი დაესწრო. (საკდესი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

გვალვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ აღმოსავლეთ შტატებში, მათ შორის ნიუ - იორკისა და ნიუ-ჯერსის შტატებში ძლიერი გვალვაა. სერიოზულად დაზიანდა მარცვლეული კულტურებისა და საკვები ბალახების ნათესები, აგრეთვე ბოსტნები. შიშობენ, რომ გვალვის შედეგად მომდინარე წლის ზაფხულში ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ნაკლებობა იქნება. (საკდესი).

მდგომარეობა ფიანძინში

ტოკიო, 13 ივნისი (საკდესი). როგორც ტიანძინიდან იუწყებიან, იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ბრალს სდებს ინგლისის ტიანძინის კონცესიის ადმინისტრაციას იმაში, რომ იგი „შეგნებულად ჰფარავს ტერორისტებს და უარს ამბობს გადასცეს ისინი იაპონიის ხელისუფლებას“.

დღეს კაბინეტის სხდომაზე იაპონიის სამხედრო მინისტრმა იტაგაკიმ ტიანძინის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გაკეთების დროს განაცხადა, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ გადასწყვიტა ინგლისისა და საფრანგეთის კონცესიების ბლოკადა, „რადგან ამ ტერიტორიებიდან არეულობა და უწესრიგობა ვრცელდებაო“.

○

ლონდონი, 13 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა იაპონიის მთავრობას შეიქმნას კომისია იმ ჩინელთა დანაშაულის საკითხის გადასაჭრელად, რომლებიც ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე იმყოფებიან ტიანძინში.

იაპონელები შეუდგნენ უცხოელთა კონცესიების ბლოკადას ფიანძინში

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). დღეს, დილის 5 საათზე, ადგილობრივი დროით, ტიანძინში იაპონელებმა დაიწყეს ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონცესიების ბლოკადა. კონცესიის საზღვრებს ბრიტანეთის ჯარის რაზმები იცავენ. მრავალმა ინგლისელმა ოჯახმა დასტოვა კონცესიის ტერიტორია.

ტიანძინიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით, 13 ივნისს, საღამოთი, იაპონის ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებამ ინგლისის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ბრიტანეთის წინადადება იაპონელთა პრეტენზიების შერეული კომისიის მიერ განხილვის შესახებ მეტად დაგვიანებით მოვიდა. კომისია, რომელზედაც ლაპარაკია, უნდა შემდგარიყო ერთი იაპონელისა, ერთი ინგლისელისა და ნეიტრალური თავმჯდომარისაგან, ალბათ ამერიკელისაგან. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა დღეს, დილით კონცესიების საზღვრები ჩამოიარა და გამოარკვია, რომ 7 საშვებ პუნქტში, რომლებიც დაწესებულია იაპონელთა მიერ, დიდძალი ხალხი დაგროვდა; ეს ხალხი კონცესიების ტერიტორიაზე გაშვებას ელოდებოდა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვერმანელებსა და იტალიელებს იაპონელები დაუბრკოლებლად უშვებდნენ. ინგლისელებსა და ჩინელებს გულდასმით სჩხრეკდნენ.

მიუხედავად ხელისუფალთა რწმენებისა, სურსათ-სანოვაგის მარაგი საკმაოაო, დღეს კონცესიის ტერიტორიაზე სურსათ-სანოვაგის ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია, ზოგიერთ შემთხვევაში 70 პროცენტით.

ინგლისის პრესა არ მალავს შეშფოთებას კონფლიქტის შესაძლებელი შედეგების გამო.

ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲣᲓᲛᲣᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

იჟევსკი, 13 ივნისი (საკდესი). რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ემზადება კოლჩაკოველი ბანდიტებისაგან უდმურტეთის განთავისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

უდმურტეთის სახელმწიფო გამომცემლობა ისტორიული მასალებისა და დოკუმენტების კრებულს უშვებს. პარტიული განათლების საქალაქო სახლში გაიხსნება დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს თეთრ ბანდიტებისაგან უდმურტეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გმირულ დღეებს. 18 ივნისს იჟევსკის კულტურისა და დასვენების პარკებში გაიმართება მასობრივი სახალხო სეირნობანი.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კულტურისა და დასვენების გორკის სახელობის ცენტრალურმა პარკმა (მოსკოვი) მიიღო დიპლომები, რომლებიც მას მიუსაჯა პარიზის 1937 წლის საერთაშორისო გამოფენის ჟიურიმ.

შესანიშნავი ექსპონატებისათვის, რომელნიც ასახავენ მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას სსრ კავშირში, პარკი დაჯილდოებულია დიპლომით. პარკის საპროექტო სახელოსნოს, რომელმაც საპარაშუტო კოშკის მაკეტი დაამზადა, მიესაჯა დიპლომი და ვერცხლის მედალი.

(საკდესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

14 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური დეპარტამენტის დირექტორი გ. ვილიამ სტრენგი. (საკდესი).

რუსთაველის თეატრი უკრაინაში

ტ. შევჩენკოს საფლავთან

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 13 ივნისს, რუსთაველის თეატრის კოლექტივმა ხარკოვში დაათვალიერა უკრაინელი ხალხის დიდი პოეტის და რევოლუციონერის ტ. შევჩენკოს ძეგლი, რუსთაველის თეატრის კოლექტივისა და მთელი საქართველოს საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა სახელით სახალხო არტისტმა ნინო ჩხეიძემ შევჩენკოს ძეგლი ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო.

ლ. ასათიანი

აფხაზეთში დაიწყო თამბაქოს შეგზავნა

სოხუმი, (საკ. კორ.). აფხაზეთის კოლმეურნეობებში დაიწყო თამბაქოს შეტეხა. 11 ივნისისათვის გუდაუთის რაიონში შეტეხილი იყო 2,620 ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი, გალის რაიონში — 577, გაგრის რაიონში—275 და ოჩამჩირეში—275 ზონარმეტრი.

თამბაქოს მასობრივი შეტეხა უახლოეს დღეებში დაიწყება. ამინდი დიდად უწყობს ხელს თამბაქოს ფოთოლის სწრაფ ზრდას.

გ. მერკვილაძე

110 ათასი ქილა კონსერვი

სამტრედია (საკ. კორ.). სამტრედიის საკონსერვო ქარხნის მუშათა კოლექტივმა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ახალ წარმატებას მიაღწია.

მაისში ქარხანამ ნაცვლად 40 ათასი ქილა კონსერვისა გამოუშვა 110 ათასი—გეგმის 275 პროცენტი. ქარხანა კარგად მუშაობს ივნისშიაც. 2-3 ივნისს დავალება 150-160 პროცენტით შესრულდა.

გ. სიხარულიძე

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ

14 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ს. გ. კავსაძის ნეშტი სამკურნალო კომბინატიდან გადასვენებულ იქნა განსვენებულის ბინაზე (კარლ მარქსის მოედანი, 2/8), სადაც საღამოს 7 საათზე შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი, ქართული ხალხური მუსიკის ერთერთი უდიდესი მცოდნის ხსოვნის აღსანიშნავად შეიკრიბნენ თბილისის თეატრთა მსახიობები, კომპოზიტორები, მომღერლები, მთელი შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდისა, რომელსაც განსვენებული ხელმძღვანელობდა, და მრავალი მშრომელი.

კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ კომპოზიტორები, მსახიობები და მომღერლები — სანდრო კავსაძის მოწაფეები.

○

15 ივნისს, დილის 11 საათზე, განსვენებულის ნეშტს გადაასვენებენ ხელოვნების მუშაკთა კლუბში (მახარაძის ქუჩა № 8). (საკდესი).

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივის თათბირი

13 ივნისს თბილისში ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მუშაკების აქტივის თათბირი.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში შემაჯამა საწარმოთა მიერ მიმდინარე წლის 5 თვის გეგმის შესრულების შედეგებისა და მსუბუქი მრეწველობის 1939 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ლ. რუხაძე.

ამხ. რუხაძე ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა სერიოზული და სიპასუხისმგებლო ამოცანები დაუსახა ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკებს ფართო მოთხოვნილების საგნებით საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა დაკმაყოფილების საქმეში.

— მიმდინარე წლის 5 თვეში,— ამბობს ამხ. რუხაძე,—საქართველოს სსრ მსუბუქმა მრეწველობამ გაუშვა 12,9 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის პირველ 5 თვეში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. 1939 წლის 5 თვის დავალება შესრულებულია 98,1 პროცენტით.

ამხ. რუხაძის მოხსენების ირგვლივ პირველ სხდომაზევე დაიწყო კამათი, რომელიც საღამოს სხდომაზეც მიმდინარეობდა. კამათში გამოვიდნენ: ამხ. მდინარაძე, სურგულაძე, ავრუცკი, მარკოზაშვილი, სვიმონიშვილი, სილაძე, ლომთათაძე, გარდაბხაძე, მანჯგალაძე, მიქაძე, ახვლედიანი, გელენიძე, ლაბარტყავა და სხვ.

14 ივნისს, დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქართველიშვილმა, ცაგარეიშვილმა, ჭელიძემ, პავლენკომ, მონიავამ, დოლიძემ, ვაშაძემ და სხვ.

ამავე სხდომაზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. სტურუა.

გაუკეთა რა ანალიზი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობასა და გამოსული ამხანაგების სიტყვებს, ამხ. სტურუამ აღნიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები ჯერ კიდევ ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. მან მკაცრად გააკრიტიკა ისინი, ვინც ანგარიშს არ უწევენ საბჭოთა მომხმარებლის გემოვნებას.

— მე ვიმედოვნებ,—ამბობს ამხ. სტურუა, — რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკები კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით, ცოცხალი ადამიანებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობით, მონდომებული და ბეჯითი მუშაობით შესძლებენ მათ წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების შესრულებას.

14 ივნისს საღამოს სხდომაზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. დ. ხაზანი და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ლ. ბიბიკოვი. მათ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის სუსტი მხარეები და დასახეს კონკრეტული გზები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირმა მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მუშების, მუშა-ქალებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის აუზების ასობით ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები მუშობენ ქვანახშირის ამოღების ყველაზე უფრო საძნელო პროცესების მექანიზაციაზე, შახტების მშენებლობის დაჩქარებაზე. ამ მუშაობის პირველი შედეგების შესაჯამებლად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილებამ მოიწვია გამოჩენილ კონსტრუქტორთა და ქვანახშირის მრეწველობის სამშენებლო და დამპროექტებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი.

საწვავ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის შახტმშენის მთავარ სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსმა ამხ. მანკოვსკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 10-მდე ახალი მანქანა უკვე შემოწმებულია და გადაცემული იქნება სერიული დამზადების მიზნით.

საშახტო მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლიხაჩევის კომბაინს, რომელიც რამდენჯერმე აჩქარებს გათხრას. მანქანა ერთსადაიმავე დროს ბურღავს შტრეკს, ეზიდება ქანს და გადააქვს იგი ბუნკერში. იქიდან ქანი ზედაპირზე ამოაქვთ მარტივი კონსტრუქციის ერლიფტის საშუალებით. ერლიფტი სცვლის არსებულ რთულ დამაბალანებელ და ამასთან ერთად იძლევა მაღალ ნაყოფიერებას.

მანკოვსკის, მეშჩერიაკოვისა და ოგანეზოვის მეთოდით შახტების ბურღვა არა მარტო მთლიანად ამექანიზმებს გათხრის პროცესებს, არამედ აგრეთვე ზედმეტს ხდის გათხრის დროს მუშის ყოფნას სანგრევში. შახტების გათხრა განისაზღვრება ზედაპირზე მანქანების მცირე რაოდენობის მართვით.

დადებით შედეგებს იძლევა სხვა მანქანებიც, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ კონსტრუირებულ იქნა საბჭოთა გამომგონებლების მიერ. ჰიდროელევატორი სწყვეტს ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიც არის წყლის იქცევა გათხრის დროს მოსკოვის აუზის ძნელ პირობებში. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შახტების გათხრის იმ მეთოდს, რომელიც გამოიგონეს ინჟინრებმა ივანოვმა და შჩეპოტიევმა. ამ მეთოდს უკვე იყენებენ. შახტის ტანის გათხრის სიჩქარე 5-6-ჯერ მატულობს. მნიშვნელოვნად აჩქარებენ შახტების გათხრას რიკმანის ესკალატორი და ჩუგუნოვის გრეიფერის ამწე.

ახალი მანქანები მზადდება ურალის მანქანათსაშენ ქარხანაში, ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში“, გორლოვკისა და ტორეცკის მანქანათსაშენ ქარხნებში. (საკდესი).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ

ტ. შევჩენკოს საფლავთან

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 13 ივნისს, რუსთაველის თეატრის კოლექტივმა ხარკოვში დაათვალიერა უკრაინელი ხალხის დიდი პოეტის და რევოლუციონერის ტ. შევჩენკოს ძეგლი, რუსთაველის თეატრის კოლექტივისა და მთელი საქართველოს საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა სახელით სახალხო არტისტმა ნინო ჩხეიძემ შევჩენკოს ძეგლი ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო.

ლ. ასათიანი

უმსგავსოებანი ჩაის საბჭოთა მეურნეობაში

ფულუკიძე, (ტელეგრაფით საკ. კორ.). ფულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ წელს ქვეყანას უნდა მისცეს 310 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დავალების შესრულება სერიოზული საფრთხის წინაშეა.

მეურნეობის ხელმძღვანელებმა და კერძოდ მისმა დირექტორმა ამხ. ნ. ვაშარაძემ თავიდანვე არ მიიღეს საჭირო ზომები მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვებისათვის. მეურნეობაში 600 მუშის ნაცვლად მაისში 250 მუშა მუშაობდა. მუშა-ხელის სიმცირის გამო მეურნეობამ ვერ შესძლო ჩაის მოზღვავებული ფოთლის დროულად მოკრეფა, რამაც გამოიწვია ფოთლის გაუხეშება და ხარისხის დაცემა.

მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობიდან მაისში პირველი ხარისხისა მხოლოდ 69 პროცენტი იყო. ვფიქრობდით მაისის ნაკლოვანებანი ივნისში მაინც გამოსწორდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით, ივნისის პირველ დეკადაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

მეურნეობამ რომ გეგმა შეასრულოს, ამისათვის საჭიროა ყოველდღიურად 2,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მაინც იკრიფებოდეს. სინამდვილეში კი დღიურად ერთი ტონაც არ იკრიფება. მაგალითად, 1 ივნისს მთელს მეურნეობაში მხოლოდ 310 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, 2 ივნისს — 766, 3 ივნისს—709, 5 ივნისს—163 კილოგრამი და ასე გრძელდება დღემდე.

ივნისის გეგმა 13 ივნისისათვის მეურნეობას მხოლოდ 14,8 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. სამარცხვინოდ ჩამორჩება ასევ სამუშაოებიც. მაგალითად, პლანტაციების პირველი თოხნა, რაც 10 ივნისამდე უნდა დამთავრებულიყო, სანახევროდაც არ არის შესრულებული. 200 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ნარითა და ეკლით არის დაფარული.

პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანის გეგმის შესრულება 15 პროცენტს არ აღემატება.

ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი მუშა-ხელის სიმცირესთან ერთად ისიც არის, რომ მეურნეობის მუშამოსამსახურეთა შორის სუსტად არის გაშლილი მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. აქ პარტიული ორგანიზაციის ხაზით 24 აგიტატორი და მესაუბრეა გამოყოფილი, მაგრამ მათი უმრავლესობა არავითარ მუშაობას არ ეწევა ამ საპატიო დავალების შესრულებისათვის.

ამ მხრივ დამახასიათებელია მეურნეობის პირველი აგროუბნის აგიტატორის მ. ებანოიძის მაგალითი. ებანოიძე ორ თვეზე მეტია გამოყოფილია აგიტატორად, მაგრამ დღემდე მუშებთან მას ერთი საუბარიც არ ჩაუტარებია რაიმე საკითხზე.

ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ბინები, რომლებშიაც მუშებს ცხოვრება უხდებათ, შეუკეთებელი და კეთილმოუწყობელია. მუშათა საცხოვრებელი—ორი სახლის მშენებლობა, რაც ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო, დღემდე სანახევროდაც არ არის დამთავრებული. ამის გამო მეურნეობამ კიდეც რომ შესძლოს საჭირო მუშა-ხელის შეგროვება, ბინებით ვერ დააკმაყოფილებს მას. მეურნეობის მშენებლობის ხელმძღვანელი ამხ. ბახტაძე ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერის.

არადამაკმაყოფილებელია მუშათა საექიმო მომსახურებაც. მეურნეობის ექიმი თამარ არდიშვილი, რომელსაც ოთხი შეთავსება აქვს, მუშაობას თავს ვერ ართმევს. ამასწინათ მეურნეობაში სერიოზულად გახდა ავად სტახანოველი ქალი ტატიანა შეგონდა. ქალის ჭირისუფლებმა ბევრი ეძებეს ექიმი არდიშვილი, მაგრამ იგი მეურნეობაში არ აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევები არდიშვილისათვის ერთეული როდია, რაც მუშებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუწყნარებელია. საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიონულმა კომიტეტმა და რაიაღმასკომმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები შეურნეობაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ტ. ჩიქოვანი

ᲐᲚᲕᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲫᲙᲘᲪᲔᲓ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ

(ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

წითელი უბნის კოლმეურნეობაში ბევრია ისეთი ცრუკოლმეურნე, რომლებიც მუშაობენ სხვაგან, კოლმეურნეობის გარეთ, ამავე დროს სარგებლობენ კოლმეურნის ყველა უფლებითა და შეღავათებით. მაგალითად, ანტ. შუბითიძე ბორჯომის სატყეო მეურნეობაში ტყის მცველად მუშაობს, გასულ წელს მისმა ოჯახმა კოლმეურნეობაში მხოლოდ 30 შრომადღე გამოიმუშავა, წელს კი არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ამავე დროს, საკარმიდამო ნაკვეთს კარგად ამუშავებს.

ამავე კოლმეურნეობის წევრი ნესტორ ლომიძე შუშის ქარხანაში მუშაობს. გასულ წელს კოლმეურნეობაში მისმა ოჯახმაც მხოლოდ 20 შრომადღე გამოიმუშავა, მიმდინარე წელს კი—არცერთი.

ვალერდია ფატარიძე საკასრე ქარხნის მუშაა. კოლმეურნედ სხვათა შორის ითვლება. მან შარშან კოლმეურნეობის თავმჯდომარის დიდი ხვეწნა-მუდარით ძლივს გამოიმუშავა 30 შრომადღე, მიმდინარე წელს კი გამომუშავებული აქვს მხოლოდ 5 შრომადღე.

მიმდინარე წელს არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული კოლმეურნეობის წევრებს — მ. გოგოლაძეს, ბლიაძეს, ელ. ლომიძეს, ლომსაძეს და სხვ.

სოფ. დვირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძშიაც“ მ. კურტანიძე, ა. პაპიძე, ე. კევლიშვილი, გ. გელაშვილი, შ. ხუციშვილი და სხვ. ზარმაცობენ, ცუღლუტობენ, — თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებს კი ამუშავებენ.

სოფ. ყვიბისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს 324 წევრიდან მხოლოდ 209 მუშაობდა. 115 კაცს არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში 150 წევრს არაფერი გაუკეთებია. ისინი მხოლოდ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მუშაობენ. ასეთებია მაგალითად, ლ. გელაშვილი, კ. ჭყოიძე, ს. ხაჩიძე, კ. ხაჩიძე, ვ. სალაღაია, ს. გაჩეჩილაძე, ს. ბურნაძე და სხვ.

მსგავსი მდგომარეობაა სოფ. ლიკნის, ცემის, მზეთამზის, ზანავის და ბაკურიანის კოლმეურნეობებში, სადაც ძალიან სუსტად იბრძვიან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვისათვის.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეები, ერთსულოვნად იწონებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას, მოურიდებლად ამჟღავნებენ კოლმეურნეობებში არსებულ დეფექტებს და მოითხოვენ დამახინჯებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

გრ. ლომიძე

ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲜᲘ

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეთა შორის უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით მეღავნდება სას.-სამ. არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები. მაგალითად, სოფ. ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი დავით ავალიანი ფორმალურად გამოეყო ოჯახს და უკანონოდ დაეპატრონა საკოლმეურნეო ნაკვეთს. არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები კოლმეურნეობაში არ მუშაობენ.

სოფ. ჭოგნარის ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში ზოგიერთ კოლმეურნეს მეზობელი რაიონის კოლმეურნეობებში აქვს სახნავ-სათესი მიწები. კოლმეურნეები ნოე და ლავრენტი კიმხაძეები, შალიკო და იაშა აბროლაძეები ფორმალურად გაიყვანენ და საკარმიდამო ფართობებს უკანონოდ ჰფლობენ.

მრავალი კოლმეურნე უნდება თავის საკარმიდამო ნაკვეთს, რაც მათ ნორმაზე გაცილებით მეტი აქვთ. ამის გამო ისინი იშვიათად ან სულ არ მუშაობენ კოლმეურნეობაში. მაგალითად, სოფ. ჭოგნარის კოლმეურნეობაში კ. სინტრაძეს წელს მხოლოდ 1 დღე აქვს კოლმეურნეობაში ნამუშევარი. აქვე ბევრია ისეთი კოლმეურნეები, რომელთაც სულ არ უმუშავიათ კოლმეურნეობაში. სოფ. კვახჭირის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ რ. გურგენიძე წელს ერთხელაც არ გამოსულა სამუშაოდ, ხოლო ლიდა ბურჯანაძემ 1 დღე იმუშავა.

სოფ. სიმონეთის კოლმეურნეობა „ლენინის გზითშიაც“ ლ. ლიკლიკაძეს, ნ. ნიკოლაძეს, ტ. ცერცვაძეს, ნ. დადვაძეს, ის. დადვაძეს, კ. კახაძეს და სხვ. ჯერ არცერთი დღე არ უმუშავნიათ კოლმეურნეობაში, სამაგიეროდ საკუთარ ყანებში ბეჯითად მუშაობენ. აქვე მეორე ბრიგადაში 15 კაციდან სამუშაოზე ყოველდღიურად მხოლოდ 10 გამოდის.

მოწინავე კოლმეურნეები, ამჟღავნებენ რა ამ დამახინჯებებს, გამგეობისაგან მოითხოვენ ზუსტად გაატაროს ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება.

ეგ. გვასალია

ᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲡ

თიანეთის რაიონის კოლმეურნეები აღფრთოვანებით იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების დამუშავების დროს კოლმეურნეობებში ააშკარავებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის დამახინჯებათა ფაქტებს.

დადგენილების გაცნობის დროს სოფ. ჭურჭელაურების კოლმეურნეობაში გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობის წევრებს ბაბალე ცალღველაშვილს, კატო ჭურჭელაურს, ნანა ხიძლაშვილს და თებრო ხიძლაშვილს არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. ახალსოფლის კოლმეურნეობა „განთიადში“ გამოაშკარავებულ იქნა 15 ცრუ-კოლმეურნე, თიანეთის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში — 25.

გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითონ უწყობს ხელს საკოლმეურნო მიწების განიავებას. მაგალითად, სოფ. თრანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. წიკლაურმა კოლმეურნეობის წევრს მ. ბურდულს, რომელსაც 0,25 ჰექტარი საკარმიდამო მიწა ჰქონდა, კოლმეურნეობის ფართობიდან კიდევ დაუმატა ამდენივე მიწა. კოლმეურნეობის მიწების ხარჯზე საკარმიდამო მეურნეობა გააფართოვა აგრეთვე ბრიგადირმა კ. არაბულმა.

ამ კოლმეურნეობაში არიან ისეთი წევრები, რომლებიც საკოლმეურნეო შრომაში იშვიათად ღებულობენ მონაწილეობას. მაგალითად, შ. არაბულმა შარშან მთელი წლის განმავლობაში 1,2 შრომადღე გამოიმუშავა, წელს კი—10 შრომადღე, მაშინ როცა ამავე კოლმეურნეობის წევრს სონა გიგაურს წელს 117 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ხოლო სალომე წიკლაურს — 154 შრომადღე.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები გამოაშკარავდა აგრეთვე სოფელ ღულელების, ბალებისხევის და ხევსურთსოფლის კოლმეურნეობებში.

დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში იმატა სამუშაოზე გამომსვლელთა რიცხვმა. ისინიც კი, რომლებიც წინათ იშვიათად გამოდიოდნენ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, ახლა ენერგიულად მუშაობენ.

ი. ბეჭაშვილი

თბილისი. ს. ორჯონიკიძის სახელობის საგარეუბნო სტახანოველი მებოსტნე ქალები ვ. პლახოტნიკოვა და ა. გორიახოვა მოკრეფილი ბალით. საბჭოთა მეურნეობის საქდესის ფოტოქრონიკა.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲙᲐ

დიდი ხნით ადრე დაიწყო პროფკავშირული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებისათვის მზადება თბილისის სტალინის სახელობის ორთოქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში.

8 ივნისს ქარხკომის საანგარიშო-საარჩევნო კრებას ქარხნის პირველი ცვლის 400-მდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი დაესწრო.

ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. გ. კაზაზიშვილს.

ამხ. კაზაზიშვილის მოხსენება კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. მომხსენებელმა დაიწყო იმით, თუ რა დიდ ამოცანებს აყენებენ პროფორგანიზაციების წინაშე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის შესანიშნავი გადაწყვეტილებანი.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი შრომის რკინისებური დისციპლინა. ჯერ კიდევ ვხვდებით შრომის დეზორგანიზატორებს, სამუშაო დროის მფლანგველებს, უქნარებსა და წამგლეჯებს. მარტო მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში სამუშაო დროის გაცდენისათვის 507 კაცი მოხსნეს. შრომის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ მკაცრად უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მოხსნილ მუშათა დიდი რიცხვი არავითარ შემთხვევაში არ ლაპარაკობს პროფორგანიზაციის კარგ მუშაობაზე. ამოცანა იმაშია, რომ მუშებში გამოვიმუშაოთ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება და მივაღწიოთ იმას, რომ ქარხანაში არცერთი დეზორგანიზატორი არ გვყავდეს.

ზოგჯერ ადგილი ჰქონდა შრომის დეზორგანიზატორთა მფარველობას. შემდეგ ლებელი საამქროს უფროსი ა. იუზბაშევი და ჩამომსხმელი საამქროს უფროსი ივ. შავიძე ხელს აფარებდნენ უყაირათო და ზარმაც მუშებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქარხნის პროფორგანიზაცია არ მიმართავდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს კანონით დაწესებული სამუშაო დროის მფლანგველთა და წამგლეჯთა გამოსწორებისათვის. არ მუშაობდა სასაქონლო-საგაგონო და სამგზავრო-საბარგო საამქროების ამხანაგური სასამართლოები. საბარგო საამქროდან 73 კაცი დაითხოვეს ისე, რომ არცერთი მათგანის მიმართ პროფორგანიზაციას რაიმე აღმზრდელობითი მუშაობა არ უწარმოებია.

ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრება, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია აღრიცხვის საქმე. სტახანოველებმა არ იციან გეგმის შესრულების მაჩვენებლები. არ ხდება ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება.

ქარხნის მუშათა შორის არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კულტურულ - მასობრივი მუშაობა. სუსტად მუშაობს მუშათა კლუბი, რომელსაც სანიმუშო მუშაობის ყველა პირობა გააჩნია.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა პროფკავშირული დემოკრატიის უხეშად დარღვევის შემთხვევებს. ქარხნის პროფორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიქია შვილი არჩევის მავიერ დანიშნეს ამ სამუშაოზე. ქარხკომის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. კუჭავა სხვა სამუშაოზე გადავიდა ისე, რომ ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. ზევდან დანიშნეს აგრეთვე ამწყობი საამქროს პროფორგი ამხ. ნ. ზლატნიცკი და სხვ.

საანგარიშო - საარჩევნო კრებამ მოისმინა აგრეთვე ქარხნის პროფორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენება, რის შემდეგაც დაიწყო კამათი.

პირველი გამოდის ამწყობი საამქროს პროფკავშირის ორგანიზატორი ამხ. ჟამერაშვილი. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ ქარხნის პროფორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს სოცშეჯიბრებასა და სტახანოვურ მოძრაობას, რომ არ ხდება სტახანოველთა გამოცდილების გაზიარება. ნაკლებად ზრუნავენ მოწინავე და წარჩინებული ადამიანების წახალისებაზე. შემდეგ ამხ. ჟამერაშვილი ეხება პროფკადრების მომზადებისადმი აშკარა უყურადღებობის ფაქტებს.

ამწყობი საამქროს სტახანოველი ამხ. გაბინაშვილი ამბობს, რომ სტახანოველებმა არ იციან გეგმის შესრულების არა თუ ყოველდღიური, არამედ ყოველთვიური და კვარტალური მაჩვენებლებიც კი.

9 ივნისს გრძელდებოდა კამათი. ამწყობი საამქროს ოსტატი ამხ. ანთაძე და სახარატო საამქროს სტახანოველი ამხ. ბერიაშვილი აღნიშნავდნენ, რომ ქარხნის პროფორგანიზაციას დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდება შრომის სოციალისტური დისციპლინის შექმნისა და მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ისინი ლაპარაკობდნენ კულტ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარების აუცილებლობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. მეტრეველმა, კირკიტაძემ, გიორგაძემ, ტოკარევმა, ფოფხაძემ. ზლატნიცკიმ და სხვ. მოკამათენი მკაცრად აკრიტიკებდნენ ქარხკომის განვლილ მუშობას და შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

ამწყობი საამქროს მოწინავე ოსტატის, ამხ. ვ. დევსურაშვილის წინადადებით კრებამ ქარხკომის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

ქარხკომის საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა აგრეთვე მეორე და მესამე ცვლების მიხედვით.

პ. ᲞᲘᲝᲙᲐᲫᲔ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ამ დღეებში შესდგა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფოს პროფორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. კრებას ესწრებოდა პროფკავშირის 458 წევრი. მოისმინეს ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. კვანტალიანის საანგარიშო მოხსენება. საანგარიშო პერიოდში პროფორგანიზაციას შეემატა 88 წევრი.

პროფკავშირის წევრთა შორის 89 ექიმია, ქალების რაოდენობა 482 შეადგენს. პროფორგანიზაცია მუშა-მოსამსახურეებს შორის სისტემატურად ატარებს კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობას. ორჯერ მოეწყო ექსკურსია ავლაბრის არალეგალურ ამქვამად რესტავრირებულ სტამბაში. 111 კაცმა მიიღო მონაწილეობა ბელადის სახლის დათვალიერებაში, ეწყობა დასვენება ქალაქგარეთ: კოჯორში, მცხეთაში. სამუშაოდ ახალმოსულ 29 კაცს შეასწავლეს წერა-კითხვა, დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურება, მასობრივი თავდაცვითი მუშაობა საავადმყოფოში კარგად არის დაყენებული. ავიაქიმის ორგანიზაცია აერთიანებს 480 წევრს, თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმები ჩაბარა 203 კაცმა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა. ექიმმა ქანთარიამ აღნიშნა, რომ ადგილკომის ყველა წევრი არ იყო ჩაბმული აქტიურ პროფკავშირულ მუშაობაში. ექიმმა შაცმა სამართლიანად გააკრიტიკა ადგილკომი, იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მუხლები მეტწილად არაკონკრეტულია და ფორმალურ ხასიათს ატარებს, ექიმმა ფალავამ ადგილკომს მიუთითა იმაზე, რომ პროფორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ გამოცემულ კანონის ურყევად გატარებისათვის. საავადმყოფოში ნაწილი ექიმებისა არასწორად იძლევიან ბიულეტენებს, რის შედეგადაც რამდენიმე ბიულეტენი გაუქმებულ იქნა.

უნდა ითქვას, რომ მოხსენება არ იყო თვითკრიტიკული. მომხსენებელს არაფერი უთქვამს ადგილკომის წევრების ინდივიდუალური მუშაობის შესახებ, არ უჩვენებია მოწინავე პროფორგის მუშაობის გამოცდილება, არც ცუდად მომუშავე პროფორგები გაუკრიტიკებია, არაფერი უთქვამს პროფდავალებათა განაწილებისა და შესრულებათა შემოწმების მდგომარეობაზე, არ გაუმახვილებია ყურადღება პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს VIII პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის საკითხებზე.

ზოგიერთი ამხანაგი (ჭელიძე, ბახტაძე, ჟუკინი და სხვ.) საერთოდ ლაპარაკობდა „ყველაფერზე“, მაგრამ რატომღაც მორიდებას იჩენდა დეფექტების მხილებასა და ადგილკომის მუშაობის სუსტი მხარეების გაკრიტიკებაში.

კრებამ ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად. (საქდესი).

ᲞᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

(ᲡᲐᲪᲜᲝᲑᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას უჭირავს 136 ჰექტარი ტერიტორია. ამ უზარმაზარ ფართობზე მოთავსებული იქნება 200 მეტი შენობა და პავილიონი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 200 ათასამდე მონაწილე: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, სასაქონლო ფერმები და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეები და ორგანიზატორები.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი შესასვლელის წინ დადგმული იქნება უფანგავი ფოლადის ქანდაკება „მუშა და კოლმეურნე ქალი“, რომელიც ამკობდა სსრ კავშირის პავილიონს საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში. მთავარი შესასვლელის ტრაქტორების ხეივანს მივყვართ კოლმეურნეობათა მოედნისაკენ. მოედნის დასაწყისში აშენებულია გამოფენის მთავარი პავილიონი 60-მეტრიანი კოშკით, რომელზედაც დაიდგმება მოოქროვილი ქანდაკება „ტრაქტორისტი და კოლმეურნე ქალი“. მთავარი პავილიონიდან, კოლმეურნეობათა მოედნის გარშემო, მოთავსებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების პავილიონები. აქ არის უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის პავილიონები. პავილიონ „მოსკოვში“ მოთავსებული იქნება მოსკოვის, ტულისა და რიაზანის ოლქების ექსპონატები. პავილიონი „ციმბირი“ გვიჩვენებს ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების, ომსკის, ნოვოსიბირსკისა და ჩელიაბინსკის ოლქების და სხვ. მიღწევებს.

მექანიზაციის მოედნის გარშემო მოთავსებულია დარგობრივი პავილიონები: „მარცვალი“, „ბამბა“, „ჭარხალი“, „მეცხოველეობა“ და სხვ. მოედნის ბოლოშია მექანიზაციის პავილიონი, რომელიც აშენებულია ანგარის ფორმით, სიგრძით 120 მეტრი და სიმაღლით 25 მეტრი. აქ მოძრავ კონვეიერზე მნახველი ნახავს ყველა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

მექანიზაციის მოედნის მარჯვნივ არის განყოფილება „ახალი სოფლად“, რომელსაც უჭირავს 12 ჰექტარი ფართობი. ამ განყოფილებაში ხატურალური სახით წარმოდგენილია საკოლმეურნეო სოფელი ყველა მისი შენობით.

ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲩᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲘ

გამოფენის საცდელ ნაკვეთებზე წარმოდგენილი იქნება საშემოდგომო ხორბლის 80 ჯიშზე მეტი, საგაზაფხულო ხორბლის 100 ჯიში, ქვავის — 30 ჯიში, შაქრის ჭარხლის, ბამბის, თამბაქოს საუკეთესო ჯიშები, ძვირფასი ხეხილი, ბოსტნეული.

4,5 ჰექტარზე მოთავსებულია მიჩურინული ბაღი. მასში დარგულია რამდენიმე ათასი სხვადასხვა ხეხილი, გამოყვანილი ბუნების დიდი გარდამქმნელის მიერ. ბაღში, ყვავილებს შორის, აღმართული იქნება ი. ვ. მიჩურინის გრანიტის ქანდაკება.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲐ

ჩვენი სამშობლოს მთელი მდიდარი მცენარეულობა წარმოდგენილი იქნება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მოედნიბზე, ხეივნებში, გზებზე და პავილიონების მახლობლად მდებარე ნაკვეთებზე დარგულია დაახლოვებით 100 ათასი დეკორატიული ბუჩქი და რამდენიმე ათასი ხე.

მნახველი აქ ნახავს ტიანშანის ნაძვს და საკსაულებს კაზახეთიდან, ალტაის ნაძვს, ამურის ყურძენს შორეული აღმოსავლეთიდან, თელასა და ჭანდარს შუა აზიიდან, ევკალიპტებსა და ტუნგოს ხეებს საქართველოდან, პირამიდალურ ალვის ხეს უკრაინიდან, ჩრდილოეთის არყის ხეებსა და ხაესებს უკიდურესი ჩრდილოეთიდან.

გამოფენის მთელ ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება სხვადასხვა სახელწოდებისა და ჯიშის ცოცხალი ყვავილების კლუმბები, გაზონები და ხეივნები. სულ დარგული იქნება 4 მილიონამდე ყვავილი.

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას წელს ნახავს ჩვენი სამშობლოს რამდენიმი მილიონი მოქალაქე. მარტო ორგანიზებულ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს სოფლის მეურნეობის 500 ათასი მოწინავე, მოსკოვის 1 მილიონამდე მშრომელი და 400 ათასი მოსწავლე.

ექსკურსიის 1500 ხელმძღვანელი მნახველებს გააცნობს გამოფენის შესანიშნავ ექსპონატებს. ჩვენი სოფლის მეურნეობის მიღწევებს.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საპატიო სტუმრებად მოწვეული იქნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის 10 ათასამდე წარჩინებული სტახანოველი.

ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

მნახველთა უკეთ მომსახურებისათვის გამოფენის ტერიტორიაზე ეწყობა ფართოდ განვითარებული რადიოქსელი. გამოფენის რადიოაპარატურის საერთო სიმძლავრე 6 კილოვატზე მეტია. სატრანსლაციო ჰუნქტების სპეციალური ქსელი იძლევა რადიოვადაცემის შესაძლებლობას გამოფენის ყოველი ადგილიდან.

გამოფენის ტბის ხეივანში და ტბის ნაპირზე მოწყობილი იქნება რესტორანები, კაფეები, სასადილოები, სასაუზმეები.

გამოფენის მნახველებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფალი დრო კულტურულად და სასარგებლოთ გაატარონ. მათ განკარგულებაში იქნება საუცხოოდ მოწყობილი პარკი, რომელსაც უჭირავს 200 ჰექტარი ფართობი. მათ შეუძლიათ ნახონ საკოლმეურნეო თვითმოქმედების თეატრი, მწვანე თეატრი, ცირკი ან კინოთეატრი.

ეურნ. „სპუტნიკ აგიტატორა“, № 9.

პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲙᲐ

ქარხნის მუშათა შორის არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კულტურულ - მასობრივი მუშაობა. სუსტად მუშ

პარტიულ-მასობრივი მუშაობა მახარაძის რაიონში

მახარაძის რაიონი ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა ერთერთი მსხვილი რაიონია საქართველოში. ამ რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე მესამე სტალინურ ხუთწლედში გრანდიოზული ამოცანებია დასახული. კერძოდ მიმდინარე წელს რაიონმა ქვეყანას უნდა მისცეს 10 მილიონი 11 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამას გარდა სერიოზული სამუშაოებია დასახული ციტრუსების, ტუნგოს, ევკალიპტის, კეთილშობილი დაფნისა და სხვა კულტურების ხაზით.

პარტიული კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი

პარტიის ახალმა წესდებამ, რომელიც XVIII პარტიულმა ყრილობამ მიიღო, განსაზღვრა საწარმოო პარტორგანიზაციების ამოცანები; იმ მიზნით, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უფრო სწორად იქნას შეთავსებული სამეურნეო საქმიანობასთან, საწარმოთა პარტორგანიზაციებს, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პირველადს პარტორგანიზაციებს მიენიჭათ უფლება კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობას.

მახარაძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა წესდების ამ მოთხოვნის დედააზრი სწორად გაიგეს, რაიონის მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან ბოლშევიკურად შეთავსებისათვის, რის შედეგადაც მოიპოვეს სერიოზული წარმატებანი გეგმების შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობას მიმდინარე წელს მაისში სახელმწიფოსათვის გეგმით უნდა მიეცა 330.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ფაქტიურად მისცა 355.500 კილოგრამი, ე. ი. გეგმა შეასრულა 102,6 პროცენტით.

პარტორგანიზაციის ბიურო (მდივანი ამხ. შ. სურგულაძე) სისტემატურად იხილავს სამეურნეო ხასიათის საკითხებს, ეხმარება ადმინისტრაციას ყოველდღიურ მუშაობაში. მაგალითად, ამა წლის 17 მაისს პარტბიუროს სხდომამ მოისმინა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამხ. დ. ფანცხავას მოხსენება ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ჩამორჩენას; თვიური დავალება 16 მაისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 23,6 პროცენტით. ჩამორჩენის მიზეზი იყო შრომის არასწორი ორგანიზაცია და შრომის დისციპლინის სისუსტე. ბიუროს შეიტანა სათანადო ღონისძიებანი, აღმოფხვრინა დირექციის კონკრეტული დახმარება. ამის შედეგად კი მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

კარგად ახასიათებს პარტიულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან ნატანების ამხანაგ ბერიას სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია (ბიუროს მდივანი ამხ. ვ. ყალიჩავა). ამ კოლმეურნეობის ფართობზე წელს მარტის ბოლო რიცხვებში ცხელ ამინდში დაირგა ციტრუსები. რის გამო მოსალოდნელი იყო ნარგავების გახმობა. ამხ. ყალიჩავა?, შეამჩნია თუ არა ეს გარემოება, 4 აპრილს საკითხი განიხილა პარტორგანიზაციის კრებაზე, წინადადება მისცა კოლმეურნეობის გამგეობას დასახულ სამეურნეო ამოცანათა შესრულება მოითხოვს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნას, რაიონის პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის ამაღლებას ამხანაგ სტალინის გენიალური მოხსენებისა და XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

როგორია დღეისათვის ამ მხრივ რაიონის პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მუშაობა, რა სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ახლებურად მუშაობის დარგში? განვიხილოთ ამ თვალსაზრისით რამდენიმე საკითხი.

ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან სწორად შეთავსებამ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აამაღლა კომუნისტების ავანგარდული როლი. კომუნისტები ჩაბმული არიან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და ბოლშევიკურად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მაღალი სტალინური მოსავლისათვის.

მაგალითად, ნატანების ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მყნობელი, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი ამხ. დ. ნაკაიძე შრომითი მაგალითის მაჩვენებელია. მან გასულ წელს დღეში 600 ძირი ციტრუსის ნაცვლად დაამყნო 5.400 ძირი და წლის განმავლობაში გამოიმუშავა 591 შრომადღე, ხოლო წელს პირველ მაისამდე გამომუშავებული აქვს 151 შრომადღე.

ჯუმათის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი ამხ. შუშანა დარჩია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, ყოველდღიურად ჰკრეფს 45-50 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. იგი წარდგენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად; ამხ. დარჩია ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში და აღებული აქვს ვალდებულება წელს გეგმა 300 პროცენტით შეასრულოს.

კომუნისტი ამხ. შ. კვირჩილაძე (ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა) საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი, დაწინაურებულია მე-5 აგრორაიონის ბრიგადირად. გასულ წელს მისმა რაიონმა ჰექტარზე 2.750 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად მოიყვანა 4.299 კილოგრამი; მაისის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა რაიონმა 114,4 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლიდან 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა, ნაცვლად 69 პროცენტისა (რაც გეგმით იყო გათვალისწინებული).

ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგებისაგან მაგალითი უნდა აიღონ ლაშის, ექადიის, ცხემლისხიდის კოლმეურნეობებში მომუშავე კომუნისტებმა; დროა შეითვისონ მათ, რომ საკ. კ. პ. (ბ) წესდება თვითეულ კომუნისტს ავალებს „იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში“.

პარტიაში შედიან ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგული ადამიანები

XVIII პარტყრილობაზე თავის გენიალურ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა პარტიის შემდგომი განმტკიცების ერთერთ ძირითად ამოცანად ასეთი ღონისძიება დასახა: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები“.

ბელადის ამ მითითების განუხრელად გატარებით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს რაიონის პარტორგანიზაციებმა. აქ მტკიცედ იცავენ პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს. რაიკომი გულდასმით სწავლობს თვითეული მისაღები ამხანაგის თვისებებს. რაიკომის მდივანი ამხ. ლ. მახარაძე წინასწარ ესაუბრება მისაღებთ და რაიკომის ბიუროზე განსახილველად მომზადებულად გადააქვთ მათი საკითხი.

უკანასკნელი 2½ თვის განმავლობაში რაიონის პარტორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს 88 ამხანაგი; მათ შორის 18 ქალია, 62 კომკავშირელი; პარტწევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაყვანილია 82 ამხანაგი. მათ შორის 9 ქალია.

პარტიაში მიღებული არიან კოლმეურნე სტახანოველები, მეცნიერი მუშაკები, სოფლის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები.

ვინ არიან ეს ადამიანები?

საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია ამხ. გ. გოთუა, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მე-2 აგრორაიონის მე-3 ბრიგადის აგროტექნიკოსი, რომელმაც მაისის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა; საუკეთესოდ მოვლილი აქვს ჩაის პლანტაცია; წარდგენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად.

ციტრუსების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. მ. შავიშვილი, ფოთის გემსადგურის ყოფილი მტვირთავი მუშა, ამჟამად მეცნიერი მუშაკი, რომელმაც 1931 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დაამთავრა აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი და ასპირანტურა. ამჟამად ამზადებს სადისერტაციო შრომას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია ამხ. დ. ბაქანიძე, ნატანების ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი, რომელმაც 1938 წელს გამოიმუშავა 451 შრომადღე. მიმდინარე წლის პირველ მაისამდე მას გამომუშავებული აქვს 145 შრომადღე. იგი დაწინაურებულია მე-10 ბრიგადის ხელმძღვანელად. პარტკანდიდატად მიღებულია ჯუმათის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი ამხ. ნატა გოგუა. მან მიღების მეორე დღეს 16 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად მოჰკრიფა 117 კილოგრამი. ამხ. ნ. გოგუამ გასულ წელს გამოიმუშავა 200 შრომადღე. წელს ვალდებულება აიღო, რომ 300 შრომადღეს გამოიმუშავებს.

აი, ასეთი ადამიანებით იზრდება რაიონის პარტიული ორგანიზაცია.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში მიღების საქმეს ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია უპასუხისმგებლოდ ეკიდება. მაგალითად, ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაციის პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა ამხ. ცინცაძემ პარტიული საქმეები იმ ორი ამხანაგისა, რომლებიც პარტიაში იყვნენ მიღებული, 8 თვის შემდეგ გადაუგზავნა რაიკომს.

უკანასკნელ ხანებამდე სუსტად იყო დაყენებული პარტიაში მიღება ფამფალეთისა და მაკვანეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში.

ახლაც არის მაგალითები, რომ ჯუმათის, ლაითურისა და სხვ. პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღება ჭიანურდება „ობიექტური“ მიზეზებით.

ურეკის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი შოთა გოგუაძე, რომელმაც ციტრუსოვანთა მყნობაში რეკორდი დაამყარა, წარდგენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. **ხელოვნებაზე:** ამხ. შ. გოგუაძე (მარცხნიდან მესამე) უსმენს ამხანაგებს თავისი მუშაობის მეთოდს. *საქდისის ფოტოქრონიკა.*

გავაუმჯობესოთ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა

განსაკუთრებით დიდია დღეს კომკავშირის როლი ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობაში. ეს როლი ნათლად განსაზღვრა პარტიის ახალმა წესდებამ.

რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს. მაგალითად, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროომ რამდენჯერმე განიხილა კომკავშირის მუშაობის ცალკეული საკითხები და დაუსახა ღონისძიებანი. ამის შედეგად კომკავშირის ორგანიზაციამ (კომიტეტის მდივანი ამხ. ნაჭყეპია) სერიოზული ნაბიჯები გადადგა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის. კომკავშირელები ანხორციელებენ ავანგარდულ როლს. კომკავშირელები მ. პრია და ნ. სვირიდოვა ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ დავალებას 260-დან 300 პროცენტამდე ასრულებენ. იგივე ითქმის ნატანების, ჯუმათის, ანასეულის ჩაისა და ციტრუსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციების შესახებაც.

რაიონში არის კომკავშირის ისეთი პირველადი ორგანიზაციებიც, რომლებიც ძველი სტილით მუშაობენ. ასეთებია ლაშის, ჭანიეთის და ექადიის ორგანიზაციები. აქ კომკავშირელები ვერ ანხორციელებენ ავანგარდულ როლს. მაგალითად, ექადიის კოლმეურნეობაში მომუშავე კომკავშირელს ს. ურუშაძეს წელს მხოლოდ 5 შრომადღე აქვს გამომუშავებული, მ. მხატვარს — 35 შრომადღე და ა. შ.

ლაშის, ჭანიეთის და ექადიის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ ამ კომკავშირის ორგანიზაციებს.

არასაკმაოა პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობაც კომკავშირისადმი. რაიკომმა მიმდინარე წლის 5 იანვარს პლენუმზე განიხილა კომკავშირისადმი პარტხელმძღვანელობის საკითხი და მიიღო სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ შემდეგ არ უზრუნვია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. რაიკომის ბიუროს მიმდინარე წელს ერთხელაც არ განუხილავს კომკავშირის მუშაობის საკითხი. მართალია, რაიკომის მდივნები ცალკეულ საკითხებზე რაიონის კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აძლევენ მითითებებს, მაგრამ პარტიული ხელმძღვანელობა მარტო ამით როდი განისაზღვრება.

პარტორგანიზაციის სუსტი ხელმძღვანელობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რაიონის ყველა კომკავშირულმა პირველადმა ორგანიზაციამ ერთ კრებაზე განიხილა ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის და ჟდანოვის მოხსენებანი XVIII პარტყრილობაზე. ვერ გაითვალისწინა რომ ასეთი ფორმალური განხილვა მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგს ვერ მოიტანდა. როგორც გამოირკვა დირექტივა ამ ისტორიულ მოხსენებათა ასე ნაჩქარევად განხილვის შესახებ მახარაძის კომკავშირულ რაიონულ კომიტეტს საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტისაგან მიეღო.

დაივიწყეს პროპაგანდის ხარისხი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე პარტიის რაიკომმა ჩაატარა ერთგვარი მუშაობა პარტიული პროპაგანდის უკეთ დაყენებისათვის. რაიონში შეჩერეულია მომზადებული ამხანაგები, რომლებიც ატარებენ საკონსულტაციო მოხსენებებს. მოხსენებანი ტარდება როგორც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკე თავების, ისე საერთაშორისო საკითხების გარშემო.

რაიკომის პარტკაბინეტში შექმნილია 7 ამხანაგისაგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი. ჯგუფმა ჩაატარა 54 ჯგუფური კონსულტაცია. კაბინეტში სწარმოებს ინდივიდუალური კონსულტაციებიც. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ სწავლობს 2.458 კაცი. ამას გარდა, რაიონში ძირეული რგოლისათვის ჩამოყალიბებულია 10 წრე.

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების ფართო პროპაგანდისათვის რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. საკითხი სპეციალურად განხილულ იქნა პლენუმზე, პარტიულ თათბირებზე, ჩატარდა კონსულტაციები, პარტკაბინეტში მოეწყო XVIII პარტყრილობის მასალების გამოფენა. ამჟამად 450 აგიტატორი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ატარებს საუბარს ცალკე ბრიგადებში. მასები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის ბრწყინვალე მოხსენებას.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ პარტიული პროპაგანდის ხარისხი დაბალია. შეიძლება ითქვას, რომ ხშირად იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს. არსებული პარტიული წრეების ერთგვარ ნაწილში ძველი სტილით მუშაობს. მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება არასახარბიელია. სოფ. სილაურში (პროპაგანდისტი ვ. როყუა) წრეში ირიცხება 18 ამხანაგი. პროპაგანდისტმა ვერ დაინტერესა მსმენელები, რის გამო ადგილი აქვს მეცადინეობაზე დაკლებას. ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაციასთან არსებულ წრეში (პროპაგანდისტი ამხ. ცინცაძე) ამაევე მიზეზით ადგილი აქვს მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. უკანასკნელად 28 მაისს ჩაიშალა მეცადინეობა, მაისში 3-ჯერ ჩაიშალა მეცადინეობა ანასეულის ჩაისა და ციტრუსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში არსებულ წრეში იმის გამო, რომ პროპაგანდისტი ავად გახდა, პარტბიუროომ კი არ იზრუნა ახალი პროპაგანდისტის შესარჩევად.

უნდა აღინიშნოს, რომ სუსტად ეხმარებიან იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“. ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი დაუშვებელ გაუბედობას იჩენს, თავს არიდებს ამ საქმეში ჩარევას, არ ესაუბრება დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს იმის შესახებ, თუ რა უშლით მათ ხელს, რაში სჭირდებათ დახმარება. ეს ითქმის აბრეშუმის ძაფსაღები და საგრეხი ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. თ. კილურაძის შესახებ. შეკითხვაზე, თუ რა დახმარებას უწევს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს ამხ. კილურაძემ განაცხადა: „ინდივიდუალურ სწავლებაში ჩვენთან ჩაბმულია 78 ამხანაგი. ისინი მეცადინეობენ, მე, აბა, როგორ შემიძლია ჩავერიო საქმეშიო“.

სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ მარტის ბოლო რიცხვებში თავის კრებაზე მოისმინა 4 ამხანაგის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ისინი პარტისტორიის შესასწავლად. კრებაზე დადგენილებაც კი მიიღეს, რომელშიაც მითითება მისცეს ამხანაგებს (მექვაბიშვილს და სხვ.). ამგვარად, კონკრეტული, ამხანაგური დახმარების გაწევის მაგიერ, ხელი მიჰყვეს თვითანგარიშების ბიუროკრატიულ მეთოდს.

პარტიული კაბინეტი არასაკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს პარტისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს. კონსულტაციების ხარისხი დაბალია.

სოფლებში ზოგჯერ უხარისხოდ ტარდება საუბრები. ამასწინათ ცხემლისხიდში პარტისტორიის პირველი თავის შესახებ საუბარი ჩატარა ამხ. დ. უჯმაჯურიძემ. საუბარი მშრალი და მოსაწყენი იყო. ამიტომ ნაწილი ამხანაგებისა თათბირის დამთავრებამდე წავიდა.

პროპაგანდის დარგში ისეთი ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ რაიკომი არასაკმარისად ხელმძღვანელობს ამ საქმეს. მას რაიონში პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი ბიუროს სხდომაზე ჯერ არ განუხილავს. ეს საქმე დაუყოვნებლივ მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თავდაცვითს მუშაობას

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სამხედრო განყოფილება. რაიონში მასობრივ თავდაცვითს მუშაობას ხელმძღვანელობს თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭო.

რაიონში სულ ჩამოყალიბებულია თავდაცვა-ავიაქიმის 103 პირველადი ორგანიზაცია.

ამ ორგანიზაციებიდან შეიძლება ჩამოთვალოთ მხოლოდ რამდენიმე, რომელიც კარგად მუშაობს. მაგალითად, აბრეშუმის ძაფსაღები და საგრეხი ფაბრიკის, ანასეულის ჩაისა და ციტრუსების ინსტიტუტის, შრომის, ნატანებისა და მელექედურის კოლმეურნეობათა და სხვ. ორგანიზაციები. აქ შედარებით კარგად არის გაშლილი მასობრივი თავდაცვითი მუშაობა, პარტიული ორგანიზაციები ოპერატიულად ეხმარებიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს.

მაგრამ თავდაცვა-ავიაქიმის მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციები უხეიროდ მუშაობენ. სოფელ ქალის კოლმეურნეობაში მთელი მუშაობა ამოსწურეს იმით, რომ 1938 წელში შეაგროვეს 25 კაცის საწევრო წიგნაკი ანარიცხების გადახდის აღსანიშნავად და წიგნაკები დღემდეც კი არ ჩაუბარებიათ პატრონებისათვის. სხვა სახის მუშაობა მათ არ უწარმოებიათ. ამ ფაქტს ყურადღებას როდი აქცევს პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ხარატი. სოფ. ლაშგაკირულის კოლმეურნეობასთან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობა თითქმის ჩაშლილია. სამწუხაროდ, ორგანიზაციის თავმჯდომარედ ითვლება კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. რუსიეშვილი.

მასობრივ თავდაცვითს მუშაობას სუსტად ხელმძღვანელობს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოველგვარი შესაძლებლობაა ამ საქმის საუკეთესოდ დაყენებისათვის (მეურნეობაში 15.000 მანეთის საჰაერო-ქიმიური თავდაცვის იარაღ - ხელსაწყოები მტვრისა და უხმარებლობისაგან ფუჭდება).

არა მარტო პირველადი პარტორგანიზაციები, არამედ თვით პარტიის რაიკომიც არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევს მასობრივ თავდაცვითს მუშაობას. მიმდინარე წელს რაიკომის ბიუროს თავის სხდომაზე არ განუხილავს თავდაცვითი მუშაობის საკითხები.

რაიონის პარტორგანიზაციებმა XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა თავდაცვითი მუშობისადმი, საქმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდებას, დაამყარონ ბოლშევიკური წესრიგი თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში და უზრუნველჰყონ რაიონის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა მასობრივ თავდაცვითს მუშობაში.

ვ. ქაჯაია

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ო. ნ. თოდაძე — საქ. სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

ჯანმრთელობის დაცვის საბრძოლო ამოცანები

ჩვენ, სახალხო ჯანმრთელობის მუშაკებს, დიდი და მეტად პასუხსაგები ამოცანა დაგვაკისრა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ. სოციალისტური საზოგადოების მშენებელი აუცილებლად უნდა იყოს ჯანმრთელი, ჯანღონით სავსე, მტკიცე და ურყევი მებრძოლი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს ამოცანა მკაფიოდ მოსჩანს მესამე სტალინური ხუთწლედის იმ გეგმაში, რომლის შესახებაც XVIII პარტიულმა ყრილობამ საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის, ამხანაგ **ვ. მოლოტოვის** მოხსენება მოისმინა.

დიდია ის ამოცანები, რომლებიც მესამე ხუთწლედისა და მისი პირველი წლებისათვის დასახულია საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე. მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, საავადმყოფო დახმარების, სასანატორიო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა გაფართოების, შშობიარეთათვის დახმარების აღმოჩენის, სასოფლო-საექიმო უბნების განმტკიცების, ბავშვებისათვის სამედიცინო დახმარებისა და სხვ. დარგებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მშრომელი მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაუმჯობესებას. ეს მით უმეტეს, რომ მეორე ხუთწლედის ბევრი დავალება საქართველოში ამ მხრივ არ იყო შესრულებული. მაგალითად, მეორე ხუთწლედის ბოლოსთვის ჩვენ უნდა გვქონოდა სოფლად მოსახლეობის 1000 სულზე 1,4 საწოლი; ფაქტიურად 1938 წლის პირველი იანვრისათვის სოფლად მოსახლეობის 1000 სულზე მხოლოდ 0,9 საწოლი მოდიოდა. ამიტომ მესამე ხუთწლედით გათვალისწინებულია საავადმყოფო საწოლები გავადიდოთ სოფლად 3.270-მდე, ხოლო ქალაქად—4.190 საწოლით.

მაგრამ ცოტაა საწოლების რაოდენობრივი გადიდება. მთავარია მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესება. ამას ჩვენ მივაღწევთ საავადმყოფოთა მომარაგებით ფიზიო-თერაპიული დანადგარებით, რენტგენის კაბინეტებით, ლაბორატორიებით, დეზკამერებით, უახლესი ინსტრუმენტებითა და ელექტრობის ფართოდ გამოყენებით. მესამე ხუთწლედში ჩვენი საავადმყოფო უნდა იყოს ტექნიკურად სავსებით მოწყობილი, კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული, ისე რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შეგვეძლოს აღვუფგინოთ ჯანმრთელობა ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც იძულებული იქნება საავადმყოფოს მიმართოს.

ქალაქის მოსახლეობის საავადმყოფოს გარეშე სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივად და ხარისხობრივად შემდგომი გაუმჯობესებისათვის უნდა გავაფართოოთ და დავაკომპლექტოთ უკვე არსებული ქსელი, უზრუნველვყოთ მოსახლეობა სპეციალიზებული დახმარებით, ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გავადიდოთ საექიმო მიღება.

ასეთივე მდგომარეობა გვექნება სოფლადაც. მეორე ხუთწლედის ბოლოს თვითეული საექიმო უბანი ძალიან ხშირად ორ და ხანდახან მეტ სასოფლო საბჭოს ემსახურებოდა. ჩვენ აუცილებლად ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ თვითეულ საბჭოს თავისი საექიმო უბანი ჰქონდეს და ეს უბანი ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ამას საკავშირო სახკომსაბჭოს 1938 წლის 23 აპრილის დადგენილება გვიკარნახებს.

მესამე ხუთწლედის დაწყებამდე ჩვენ არ გვქონდა ისეთი სანიტარული სადგურები, სადაც გაერთიანებული იქნებოდა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლისა და მათი პროფილაქტიკის კომპლექსური სამუშაოები. ჯანსაღკომის განახლებულ ხელმძღვანელობას დასჭირდა 1938 წელს მოეწყო 23 სანიტარული სადგური, ხოლო 1942 წელს სანიტარულ სადგურთა რიცხვი 40-მდე უნდა გავიყვანოთ.

ჩვენს ქვეყანაში დედა და ბავშვი განსაკუთრებული მზრუნველობით არის გარემოსილი. არასოდეს არცერთ ქვეყანაში დედასა და ბავშვს ასეთი პირობები არა ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. მეორე ხუთწლედის ბოლოს ჩვენ გვქონდა 1.171 სამშობიარო საწოლი, რაც მშობიარეთა მეცირე ნაწილს უზრუნველჰყოფდა. მესამე ხუთწლედში სამშობიარო დახმარებით ქალაქის მოსახლეობა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი, ხოლო სოფლისა—22 პროცენტით. სოფლად სამშობიარო საწოლებთან, სამშობიარო სახლებთან და საავადმყოფოთა სამშობიარო განყოფილებებთან ერთად ბევრი გვექნება საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები, საბებიო პუნქტები, რაც დიდად აამაღლებს მშობიარეთა უზრუნველყოფილობის პროცენტს.

სამჯერ და უფრო მეტად გავადიდებთ საბავშვო ბაგათა რიცხვს. თუ 1938 წლის პირველი იანვრისათვის ჩვენ გვქონდა 3.880 საბაგო საწოლი, მესამე ხუთწლედის მანძილზე ამას უნდა მივუმატოთ 7.000-ზე მეტი, და 1942 წლისათვის საბაგო საწოლების რიცხვი 10 ათასზე მეტი გავხდოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგების რაოდენობა 15 პროცენტით გავზარდოთ.

დედისა და ბავშვის მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება ქალთა 99 და ბავშვთა 100 კონსულტაცია, რომელიც მესამე ხუთწლედის დასაწყისისათვის გვქონდა. ამას დავუმატებთ დედათა და ბავშვთა 50-ზე მეტ კონსულტაციას.

ცნობილია, რომ საქმეს სწყვეტენ კადრები, რომელნიც ტექნიკას არიან დაუფლებულნი. ეს მითითება თანაბრად ეხება სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმესაც. ჩვენი წარმატების გადამწყვეტ პირობას სამედიცინო კადრების მომზადება წარმოადგენს. მესამე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ორდენოსანი საქართველო მიიღებს 2.414 ექიმს, 600 ექიმ-სტომატოლოგს, 700-მდე ფარმაკო-ქიმიკოსს და სხვ. ეს კადრები სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ კადრებით დავაკმაყოფილოთ ჯანმრთელობის დაცვის ქსელი, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საექიმო მომსახურება და აგრეთვე შევკვეცოთ შემთავსებლობა საექიმო მუშაობაში, რაც უარყოფითად მოქმედებს მუშაობის ხარისხზე.

პირველი ორი ხუთწლედის განმავლობაში ბევრი თანხა იქნა გაღებული კაპიტალური მშენებლობის ფართოდ გასაშლელად. მეორე ხუთწლედში მთავრობამ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კაპიტალური მშენებლობისათვის 102 მილიონზე მეტი თანხა გაიღო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკურორტო მშენებლობას. მესამე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდება 45 პროცენტით გაიზრდება. პირველ წლებში ჩვენ დავამთავრებთ 6 ახალ საავადმყოფოს აგებას. ამით შეგვემატება 900-ზე მეტი საწოლი, ხოლო შემდგომ წლებში ავაგებთ 21 საავადმყოფოს. ამათ შორის ათი მსუბუქი ტიპისა იქნება. გორში, დუშეთში, ზესტაფონში, ცხაკაიაში, ბორჩალოში, ლანჩხუთში, ლუქსემბურგში და გეგეჭკორში ავაგებთ სარაიონო საავადმყოფოებს, თბილისში თვალის ინსტიტუტს, სოხუმში—ტუბერკულოზურ საავადმყოფოს და სხვ.

ასევე ფართოდ იქნება გაშლილი საავადმყოფოს გარეშე, სანიტარულ-ეპიდემიურ, დედათა და ბავშვთა დაცვის სასწავლო და სააფთიაქო დაწესებულებათა მშენებლობა.

საქართველო მდიდარია პირველხარისხოვანი, საქვეყნოდ სახელგანთქმული კურორტებით. საქ. საკურორტო მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ. მას შემდეგ, რაც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს სათაეში ჩაუდგა საუკეთესო სტალინელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-

გერმანული პრესის ანტიპოლონური კამპანია

ბერლინი, 13 ივნისი (საკდესი). დღეს გერმანული პრესა თვალსაჩინოდ აძლიერებს ანტიპოლონურ კამპანიას. ტონის მიმცემია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი“, რომელიც იმეორებს რა უკვე ცნობილ ჭორებს პოლონეთში გერმანელების „დევნის“ შესახებ და სხვ., ხაზგასმით აღნიშნავს „შექმნილი მდგომარეობის საშიშროებას“.

გაზეთები მკაცრად ესხმიან თავს პოლონეთს, რისთვისაც იყენებენ პოლონელი მოხელის ლიპინსკის დაპატიმრებას დანციგში.

„დოიჩე ალგემაინე ციტუნგი“ დაჟინებით მოითხოვს „დანციგის პრობლემის“ საჩქაროდ გადაჭრას.

ყველა ამ განცხადებას თან ახლავს მკაცრი გაფრთხილება ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელნიც, გაზეთის მტკიცებით, ხელს უშლიან იმას, რომ დანციგის პრობლემა გადასწყდეს გერმანიისათვის სასურველად.

ამავე დროს პრესა იუწყება, რომ გერმანელები კვლავ მიდიან დანციგს.

ბერლინში ლატვიისა და ესტონეთის მინისტრების მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 13 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ეფრი“ იუწყება, რომ ბერლინში შესდგა ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება ჰიტლერთან, რიბენტროპთან და ბრაუხიჩთან. გაზეთის სიტყვით, ესტონეთისა და ლატვიის მინისტრებს მოლაპარაკება ჰქონდათ აგრეთვე გერმანიის მეურნეობის სამინისტროს კომერციულ მოთათბირებებთან.

„გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში, —სწერს გაზეთი, — აცხადებენ, რომ გერმანიის მიერ ბალტიის ქვეყნებთან მოლაპარაკებაში მიღწეული პირველი შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია. აყენებენ საკითხს „დამატებითი ღერძის“ ფორმულის ოფიციალური ჯამოცხადების შესაძლებლობის შესახებ.

ესტონეთისა და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა იკისრეს, უახლოეს ვადაში მიაღწიონ ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის და ესტონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის საზღვრების გასწვრივ სიმაგრეთა აგების წინადადების რატიფიკაციის მათი ქვეყნების პარლამენტების მიერ. გერმანიამ, რა თქმა უნდა, იკისრა ამ სიმაგრეთა აგება“.

ჩეხები პოლონეთს გარბიან

ვარშავა, 13 ივნისი (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანებში ვახშირდა აღმოსავლეთ პრუსიიდან ჩეხ მოქალაქეთა პოლონეთში გაქცევის შემთხვევები.

როგორც „კურიერ პორანი“ იუწყება, ამ დღეებში პოლონეთში ჩავიდა რამდენიმე ჩეხი და სლოვაკი, რომელნიც მუშაობდნენ საფორტიფიკაციო სამუშაოზე აღმოსავლეთ პრუსიაში. მათ განაცხადეს, რომ გერმანიის ხელისუფლება განაგრძობს მცხოვრებთა გადასახლებას ჩეხიიდან და მათს გზავნას სამუშაოზე შიდა გერმანიაში ვესტაპოს სასტიკი კონტროლით.

საზღვარგადმოსულნი ამტკიცებენ, რომ პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე (აღმოსავლეთი პრუსია), ფილიპოვის რაიონში (პოლონეთის პუნქტი საზღვრის მახლობლად), დაახლოებით 30 ათასი ჩეხი და სლოვაკი მუშაობს.

იაპონელთა უმსგავსოებანი პუჭუნში

შანხაი, 13 ივნისი (საკდესი). ინგლისის გენერალურმა კონსულმა შანხაიში ფილიპსმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იაპონიის გენერალურ კონსულს; ნოტაში მან აღნიშნა, რომ იაპონელები აშინებენ გაფიცულ ჩინელ მუშებს, რომელთაც სურთ დაბრუნდნენ პუტუნში ინგლისელთა ფაბრიკაში. შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ იაპონელებმა სროლა აუტეხეს ორ ინგლისელს, რომელნიც მივიდნენ ფაბრიკასთან რათა მოლაპარაკება გაემართათ გაფიცულ მუშებთან.

ინგლისის კონსულმა მოითხოვა განედევნათ იაპონელი შეიარაღებული ტერორისტები, რომელნიც ფაბრიკის მახლობლად იყვნენ. დაცვათ ფაბრიკის ინგლისელთა შტატი და აეკრძალნათ აგრეთვე ანტიინგლისური დემონსტრაციები პუტუნში.

ამავე დროს კონსული მოითხოვს, რომ გაზეთმა „სინშენბაომ“, რომელიც ჩინურ ენაზე გამოდის და აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს ინგლისის ინტერესთა წინააღმდეგ ჩინეთში, შესწყვიტოს ანტიინგლისური აგიტაცია.

ფაშისტური ტერორი ესპანეთში

ფრანგული გაზეთი „სე სუარი“ გადმოგვცემს, რომ მარტო მადრიდში მოქმედობს 100 სამხედრო სასამართლო. ისინი დღე-ღამეში 400-მდე საქმეს აჩჩევენ. ბრალდებულთ არაა ქვთ უფლება დაამტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა. ისინი სასამართლოს წინაშე მხოლოდ იმისათვის წარსდგებიან, რომ მათ მიუსაჯონ ან სიკვდილით დასჯა, ან ხანგრძლივი კატორღა.

რესპუბლიკური არმიის 16.000 ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი და ყოფილი რესპუბლიკის სამოქალაქო დაწესებულებათა 30.000 მოსამსახურე უნდა წარსდგეს ფრანკოს მთავრობის სამხედრო სასამართლოთა წინაშე. საკონცენტრაციო ბანაკებში მადრიდის გარშემო 400 ათასზე მეტი პატიმარია.

გაზეთის სიტყვით, ჯერ უკვე მიმდინარე წლის 2 მაისისათვის სიკვდილით დასჯილთა და დახვრეტილთა რიცხვმა მადრიდში მიაღწია 35.000-ს, ვალენსიაში—15.000-ს და ბარსელონაში — 25.000-ს.

13 ივნისი. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკელი მოღვაწეები ფაშისტურ საპყრობილეში

პარიზი, 13 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩეხოსლოვაკელი ადვოკატი სეკანინა მოთავსებულია ბერლინის საპყრობილეში. იქ სეკანინასთან ერთად, 20-ზე მეტი სხვა ჩეხი მოღვაწეა.

ლონდონდან ჩასული ინგლისელი ადვოკატი მერეი გუშინ გირმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცხადდა და ითხოვა — ახსნა-განმარტება მიეცათ მისთვის სეკანინას საქმეზე. მერეის განუცხადეს — „ამ საქმეში ნუ ერევით“.

ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 13 ივნისი (საკდესი). „პოლედნი ლისტი“ იუწყება ბრნოს სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილებას ანტიგერმანული არალეგალური პროკლამაციის გამოშვებისა და გავრცელების გამო. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ნუ ივეჭრებთ გერმანელთა მაღაზიებში, ნუ ინახულებთ გერმანულ ფილმებს, უგულვებელჰყავით გერმანიის არმია“. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დამნაშავენი პროკლამაციის გამოშვების საქმეში აღმოჩენილი არ არის. მაგრამ მოსახლეობის დასაშინებლად ჩამოთვლილია სხვადასხვა სასჯელი, რაც დაედებათ პროკლამაციის ავტორებსა და იმ სტამბებს, რომელნიც ანტიგერმანულ არალეგალურ გამოცემებს ჰბეჭდავენ.

„ლიდოვე ნოვინი“ იუწყება, ჩეხური ოპერა „ლიბუში“, რომელიც ამ დღეებში ნაციონალურ თეატრში უნდა დაედგათ, დასის „დაღლილობის“ გამო აღარ დაიდგმებაო. ამავე დროს „ლიბუშის“ ნაცვლად იდგმება სხვა ოპერა. „ლიბუში“ უდიდესი წარმატებით სარგებლობდა და პატრიოტულ დემონსტრაციებს იწვევდა.

„ლიდოვე ნოვინი“ გადმოგვცემს სტატიას, რომელიც დაიბეჭდება გერმანიის საგენტოს ბიულეტენში „პრაგერ ცაინტუნგსდინსტში“. სტატია მოგვაგონებს მთელ რიგ შეტაკებებს ჩეხებსა და გერმანელებს შორის და ანგარიშის გასწორებით ემუქრება ჩეხებს.

კ ო ჯ ო რ ი

კოჯორი და კიკეთი მდებარეობენ 1000-დან 1360-მდე მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან, მაშინ როდესაც თბილისი მდებარეობს 405 მეტრის სიმაღლეზე. თბილისიდან კოჯორამდე ფართობი თანდათან მაღლდება, ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირში თბილისი თითქმის ერთადერთი ქალაქია, რომელსაც ასე შედარებით ახლოს ჰქონდეს ასეთი მაღალი მთიანი პლატო, როგორიცაა კოჯორი და კიკეთი, რომლებიც ზაფხულში საცხოვრებლად მეტად გრილ და მოხერხებულ ადგილს წარმოადგენენ. იმ დროს, როცა ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისში ტემპერატურა ადის 38,4 გრადუსამდე ცელსიუსით, კოჯორში ამავე დროს ტემპერატურა 27,5 გრადუსს არ აღემატება. განსხვავება ძალიან დიდია.

კოჯორს აქვს უკეთესი პირობები საშუალო წლიური ტემპერატურის, ტემპერატურის მაქსიმუმისა და მინიმუმის ამპლიტუდის მხრივ, აქ წვიმიანი და ყინვიანი დღეები ნაკლებია, ვიდრე აბასთუმანში, ლიბანში, ბაკურიანში და ცემში.

კოჯორ - კიკეთის უზარმაზარ პლატოს შეუძლია დაიტიოს ათიათასმეთი დამსვენებლები და სამკურნალოდ წამოსული მშრომელები თბილისიდან და არა მარტო ზაფხულის ცხელ დღეებში, არამედ მთელი წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნას როგორც ავადმყოფი ბავშვების, ისე მოზრდილების სანატორიული მკურნალობისათვის.

ასე ახლო მდებარეობისა და კარგი კლიმატური პირობების გამო კოჯორში უნდა აშენდეს „ყველა“ ტიპის სანატორიუმი მთელი წლის განმავლობაში ხარგებლობისათვის, სასტუმროები, საგარაჯო სახლები ქ. თბილისის მშრომელებისათვის, კულტურისა და დასვენების პარკი და სხვა დამშმარე დაწესებულებანი.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ კოჯორისა და კიკეთის დიდ ნაკლოვანებას წარმოადგენს წყლის დიდი ნაკლებობა. ამიტომ საჭიროა თბილისიდან კოჯორში გაყვანილ იქნას ნატახტარის წყარო.

ჩემის აზრით, საჭიროა კოჯორი მიჩნეულ იქნას სპეციალურ საბავშვო კურორტად. მრავალი წლის დაკვირვების საფუძველზე შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ კოჯორი პატარა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო კლიმატური სადგურია. აღნიშნული ასაკის ბავშვები, დაავადებულნი ანემიით, რახიტით, კუჭნაწლავების ავადმყოფობის ყველა ფორმით, კოჯორში გაგზავნის შემდეგ რჩებიან, მათ ემატებათ მადა და წონა.

როგორც ძუძუთა, ისე სკოლამდელი ასაკის ბავშვები ძალიან კარგად იტანენ კოჯორის ჰავას. ხშირად ხდება, რომ ცუდად განვითარებული, ფეიმკრთალი, გამხდარი ბავშვი სწრაფად მატულობს წონაში, ამასთან ერთად უმჯობესდება მისი კანის კვება და ფერი.

კუჭნაწლავების დაავადებათა ყველა ფორმა—გასტრიტები, გასტროენტერიტები, კოლიტები და დიზენტერიები — მეტწილად სწრაფად იკურნება კოჯორში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჰგზავნიან უკიდურესი დაუძლურების, მკვეთრად გამოხატული ატროფიის მდგომარეობაში მყოფ ან მომაკვდავ ბავშვებს. თუმცა მე მაინც ხშირად მიწანავს, რომ მძიმედ ავადმყოფი ბავშვებიც შედარებით სწრაფად გამოკეთებულან კოჯორში.

მე მინახავს მრავალი შემთხვევა, როდესაც კუჭნაწლავების ავადმყოფობით მძიმედ დაავადებული ბავშვი თბილისიდან კოჯორში გადაყვანისთანავე კარგად გამხდარა: მას შესწყვეტია პირის ღებინება, კუჭის აშლილობა და რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად მორჩენილა. რასაკვირველია, ეს ხდებოდა არა თერაპიული ზომების, არამედ მხოლოდ კოჯრის სამთო-კლიმატური პირობების გავლენით.

კოჯორში ჩემი საექიმო მოღვაწეობის პირველი 30 წლის განმავლობაში ზაფხულის თვეებში მე არ შემომჩნეულა მწვავე ინფექციური დაავადებანი: წითელა, დიფტერიტი, ქუნთრუშა და მუცლის ტიფი. ყოფილა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. უკანასკნელი წლების განმავლობაში კი, კოჯორში ბავშვთა მოსახლეობის გადიდებასთან დაკავშირებით, უკვე ყოველწლიურად შემჩნეულია აღნიშნულ დაავადებათა შემთხვევები, რომლებიც ნაწილობრივ თბილისიდან არის ხოლმე ჩამოტანილი.

ეს ინფექციური დაავადებანიც კოჯორში შედარებით მსუბუქად მიმდინარეობენ.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. ეს არის შემთხვევები, როდესაც ქრონიკული მალარიით დაავადებულთ კოჯორში გაუხშირდებათ ხოლმე პაროქსიზმები, როგორც ეს ყოველთვის ხდება მთიან ადგილებში. ასეთი ბავშვებისათვის აუცილებელია პროფილაქტიკური მკურნალობა ქინაქინით.

რაც შეეხება კოჯორში ბავშვების დაავადებას ტუბერკულოზით, 1937 წლის ზაფხულში მე ჩავატარე განსახკომის ყველა კოლონიის ბავშვთა საყოველთაო პირკეტიზაცია, ამასთან აღმოჩნდა, რომ თუმცა ბავშვების ინფიცირების პროცენტი იგივეა, რაც თბილისში, მაგრამ დაავადების ხასიათი მნიშვნელოვნად უფრო მსუბუქია, ვიდრე თბილისში.

ამ შემთხვევაშიც, როგორც სჩანს, კოჯორი კარგ გავლენას ახდენს ტუბერკულოზით ინფიცირებულ ბავშვებზე.

პროფესორმა ნ. ა. ყიფშიძემ კოჯორში ჩაატარა 60 ბავშვის სისხლის შემადგენლობის ცვლილების გამოკვლევა, ამასთან სისხლის გამოკვლევა სწარმოებდა თბილისში, კოჯორში ყოფნის დროს და კოჯორიდან წამოსვლის წინ.

ამ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სისხლნაკლებ ბავშვებს გემოგლობინი უდიდდებოდათ 10-დან 20 პროცენტამდე, ერითროციტების რიცხვი 2.500.000-დან 5.000.000-მდე. თეთრ სისხლზე უფრო ნაკლები გავლენა მოახდინა მთის ჰავამ. სისხლის წნევა არ სცილდებოდა ნორმის საზღვრებს. ბავშვებმა მოიმატეს 1-დან 3 კილომდე. ამ გამოკვლევამ საეჭვოთ დაადასტურა ის აზრი, რომ კოჯორი სისხლნაკლები ბავშვებისათვის სისხლის რეგენერაციის საუკეთესო სტიმულია.

დასასრულ უნდა მივეხსენებოთ პარადისა და მთავრობის საუცხოო გამაჯანსაღებელ ღონისძიებას ზაფხულობით ბავშვების კოჯორში გგზავნის საქმეში. სასურველია, რომ მომავალში ბავშვები უფრო მეტი რაოდენობით გაიგზავნონ კოჯორში, ვინაიდან იგი თავისი ადგილმდებარეობით და კლიმატური პირობებით წარმოადგენს საუკეთესო გამაჯანსაღებელ ადგილს მოზარდი თაობისათვის არა მარტო ზაფხულის თვეებში, არამედ ზამთრობითაც.

ექ. ნ. უშიკოვი
მედიცინის დოქტორი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები ნორჩ ნატურალისტთა სადგურიდან, თბილისის მე-3 საშუალო სკოლის მოწაფეები (მარცხნიდან-მარჯვნივ): ვ. ძაგანია, რ. ტოგნიაშვილი და ტ. ჩარგელაშვილი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ჯაზ - აკორდეონის კონცერტები

7 ივნისიდან საქართველოს ესტრადის საზაფხულო თეატრში დაიწყო ჯაზ-აკორდეონის გასტროლები, უნდა ითქვას, რომ ასეთი ანსამბლი პირველია საბჭოთა კავშირში და სულ მოკლე დროში, დაახლოებით ერთ წელში, მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ანსამბლი ყურადღებას იპყრობს თავისი ხმოვანობით. წამყვანი როლი ანსამბლში აკორდეონებს ეკუთვნის, ვიოლინო ალაბაზეს მას, დანარჩენი ინსტრუმენტები კი აკომპანიმენტს უწევენ. ანსამბლი მრავალფეროვანი პროგრამით გამოდის.

აღსანიშნავი არიან ანსამბლის სოლისტები ირინა ლებედევა და ნორა მარკუსი. ანსამბლს ჰყავს თავისი მოცეკვავენი, სოლისტები სპირინა და გურიევა, რომლებიც მშვენივრად ახრულებენ მეზღვაურთა ცეკვას. ანსამბლის ხელმძღვანელს კომპ. როზენფილდს უსათუოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია ასეთი მუსიკალური კოლექტივის შესაქმნელად.

გ. ბაღრიძე

„აბესალომ და ეთერი“ ჯიდ თეატრში

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). რსფსრ სახალხო არტისტმა რ. ნ. სიმონოვმა, რომელიც დიდ თეატრში სდგამს ზ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერს“, თქვენს კორესპონდენტს განუცხადა: „19 ივნისს მოსკოვის დიდ თეატრში რუსულ ენაზე პირველად დაიდგმება მოძმე ქართველი ხალხის ოპერა. ეს არის უდიდესი მოვლენა საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ცხოვრებაში. ჩვენი ამოცანა იყო, რაც შეიძლება მკაფიოდ გადმოგვეცა სცენიდან აბესალომ და ეთერის ტრაგიკული ამბავი, რომელიც აღსავსეა მაღალი გმირობითა და ნამდვილი პოეტურობით. ჩვენ ვცდილობდით დაგვეცვა ძველი ხალხური ლეგენდის მთელი სურნელება და ამასთან ერთად გამოგვევლინებინა ოპერის მუსიკალური ღირსების მთელი სიმშვენიერე. როლების შემსრულებლებს ამ ოპერაში მოეთხოვათ ოპერის მუსიკალური ფრაზებისა და ინტონაციების თავისებურებათა, მუსიკალური მელოდიური სურათის თავისებურების ცოდნა. მე ეფიქრობ, რომ მსახიობებმა თავი გაართვეს ამ ამოცანას და მოახერხეს ქართული ოპერის სცენიურ განხორციელებაში მოეცათ მკაფიო სახეები წარმოდგენა გაიფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა რინდინმა. წარმოდგენის რეჟისორი — მ. კვალიაშვილი. ცეკვების დადგმა დ. ჯავარიშვილისა, დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მელიქ-ფაშაევი. აბესალომის როლს ასრულებენ რსფსრ სახალხო არტისტი ხანოევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ეფლახოვი, მსახიობები ბოლშაკოვი და ფედორტოვი; ეთერის როლს — რსფსრ დამსახურებული მსახიობები კრუგლიკოვა, შეეერადა, შპილერი; მურმანის როლს—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პოლატკოვსკი, მსახიობები სელივანოვი და ივანოვი“.

სასამართლო ინფორმაციები

აბორტმახერთა, ბებიაქალ-ხელმეძღვანელთა სასამართლო

როგორც ჩვენი გაზეთის 11 მარტის ნომერში ვწერდით, აბორტმახერთა ჯგუფი ეკმომ ეკატერინე ბერძენიშვილის მეთაურობით სისტემატურად აკეთებდა ფაურულ აბორტებს. ეკ. ბერძენიშვილთან ერთად პასუხისგებაში მისცეს მისი დამხმარენი და ხელშემწყობნი: ბებია ქალი მარიამ კუხალეიშვილი, ანა შარაშენიძე და ნადეჟდა კლიმენტიევა.

მათი საქმე 9 მარტს საჩვენებელი პროცესით გაარჩია სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ და ბრალდებულებს მეტად ლმობიერი განაჩენი გამოუტანა.

სასამართლოს უკანონო დადგენილება გააპროტესტა სტალინის რაიონის პროკურორმა ამხ. რ. ბახანრეგმა, რის საფუძველზეც აბორტმახერთა ჯგუფის საქმე ხელმეორედ გაარჩია სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ.

ოთხ დღეს გრძელდებოდა სასამართლო პროცესი, ბრალდებულებმა წაყენებულ ბრალდებაში თავი სავსებით დამნაშავედ სცნეს და აღიარეს, რომ ისინი კარგა ხანია ეწეოდნენ აბორტმაწეწორობას.

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით ეკ. ეკ. ბერძენიშვილს, რომელსაც წინათ მისჯილი ჰქონდა ორი წლის პატიმრობა, მიესაჯა პატიმრობა ოთხი წლით, მ. კუხალეიშვილსა და ა. შარაშენიძეს პირობითი სასჯელი შეეცვალათ ორ-ორი წლის პატიმრობით, რაც შემდეგ შეეცვლილ იქნა თითო წლით იძულებითი მუშაობით. მათთან ერთად გასამართლებულ იქნენ ოლ. მაღრაძე, ნ. კლიმენტიევა, როგორც აბორტის აკრძალვის კანონის დამრღვევნი, სასამართლომ მათ საჯაროთ გაკიცხვა გამოუტანა.

მ. სურგულაძე

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

15 ივნისს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში — ამხ. ფრუნძის ლექცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში (1918-1920 წლები). რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ბაბალოვის ლექცია თემაზე: უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობის ხერხებისა და მეთოდების შესახებ და მათთან ბრძოლა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. რამიშვილის ლექცია თემაზე: ბოლშევიკები და მენშევიკები სტოლიპინის რეაქციის წლებში (1908-1912 წლები). ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომბინატი დეკადის ვადაში იწვევს: კონსტანტინე გიორგის-ძე შაბურიშვილს, გიორგი ზაქარიას-ძე ოქროპირიძეს, ნინო აბრამის-ასულ ჯუღაშვილს, ალექსანდრე მიხეილის-ძე გეჯაძეს, ნიკოლოზ გიორგის-ძე ბერძენიშვილს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამ. კ. ვერულავასთან (ძერეინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი № 29).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აუწყებს ამხანაგებს ალფეზ თომპსონ-ძე წიტაიშვილს და შალვა სილოვანის-ძე კაპარავას გამოცხადდნენ რაიკომის საალრიცხვო განყოფილებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1527426, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ივანე ალექსის-ძე ბენიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1521057, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ალექსანდრე ეგნატეს-ძე ეაშაკიძის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 1263763, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ივდითი მიხეილის-ასული კოხრეიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

15 ივნისს

საზაფხულო ესტრადის გახსნა

მოსკოვის პისელორა დიუნკანის სტუდიის სოლისტების

ცეკვის საღამო.

2—2 80 დასაწყისი საღ. 9½ ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

3 სპექტაკლი საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობის **ფაგმა მუხეკარეულის** მონაწილეობით

20 ივნისს	23 ივნისს	27 ივნისს
ჟ. ბიზე	ვერდი	ჟ. ბიზე
** კარმენ**	**აიდა**	**კარმენ**

დაწყებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 90

სავაღდებულო დადგენილება

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისა

1939 წ. 22 მაისი (ოქმი № 11, § 45)

„ქ. თბილისში შენობებისა და მიწების ტექნიკური აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ჩატარების შესახებ“.

შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 19 აგვისტოს დადგენილებისა № 1424 „ქალაქებში ქონებათა ტექნიკური აღრიცხვის ჩატარების ვადებისა და ტექნიკური აღრიცხვის საჭიროებისათვის მიზნობრივი გამოსაღების განაკვეთთა დაწესების შესახებ“, თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჩატარდეს ქალაქ თბილისში უკლებლივ ყველა შენობებისა და მიწების მთლიანი ტექნიკური აღრიცხვა (ინვენტარიზაცია) ქალაქის ფარგლებში მდებარე მუნიციპალიზებულ, ნაციონალიზებულ, კოოპერატიულ და კერძო სახლთმფლობელობებში.

შენიშვნა: მიწებისა და შენობების ტექნიკური აღრიცხვა ამ დადგენილების მიხედვით არ სწარმოებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც აღნიშნულია საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1939 წ. 21 მარტს დამტკიცებული „ტექნიკური აღრიცხვის დებულების“ მე-6 პუნქტის შენიშვნაში.

2. ქონებათა ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოების ჩატარება დაეკისროს თბილისის საბჭოს კომუნალური განყოფილების არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოს, რომელსაც დაეკვლოს დაამთავროს ეს სამუშაოები არაუგვიანეს 1941 წლის 1 იანვრისა.

3. მიწებისა და შენობების ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოთა ღირებულებას ანაზღაურებენ ამ ქონებათა მოსარგებლენი და მფლობელნი ამ დადგენილებით დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

იმ ქონებათა ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოების ღირებულება, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ინახება, ანაზღაურებული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში სპეციალურ ასიგნებათა გამოყოფის გზით.

4. დაწესდეს ქალაქ თბილისში მიწებისა და შენობების ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოთა ანაზღაურების შემდეგი განაკვეთები:

გადამხდელთა კატეგორიები	მიწებისა და შენობების ფართობის ყოველ საანგარიშო-მეტრზე—შემდეგი ოდენობის ნაკვეთებზე (საანგ. მ.)			
	200 საანგ. მ.	200-დან 500-მდე საანგ. მ.	500-დან 1000-მდე საანგ. მ.	1000-ს ზევით
1. მუშ.-გლეხ. წით. არმ. სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ კატეგორიათა, აგრეთვე პენსიონერთა ოჯახები, იმ პირობით, თუ ისინი მათთვის კუთვნილ შენობებს იყენებენ პირადი საჭიროებისათვის (სადგომის გაუქირავებლად)	18 კ.	15 კ.	12 კ.	10 კ.
2. დაბალხელფასიანი კატეგორიების მშრომელნი თვეში 150 მანეთამდე ხელფასით, რომელნიც მათთვის კუთვნილ შენობებს იყენებენ პირადი საჭიროებისათვის (სადგომის გაუქირავებლად).	27 კ.	23 კ.	19 კ.	17 კ.
3. გადამხდელთა ყველა დანარჩენი კატეგორიები	36 კ.	31 კ.	25 კ.	23 კ.

შენიშვნა: ერთ საანგარიშო მეტრად ანაზღაურებისათვის მიიღება:

ა) საცხოვრებელი, სავაჭრო, დაწესებულებათა და სხვა ძირითადი შენობების გარეფართობის ყოველი კვადრატული მეტრი (სართულების მიხედვით), გარდა სასამახურო ნაგებობებისა, კოეფიციენტი—1.00.

ბ) სასამსახურო და საეზოო ნაგებობათა გარეფართობის ყოველი კვადრატული მეტრი, კოეფიციენტი—0.40.

გ) მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის ყოველი კვადრატული მეტრი კოეფიციენტი—0.07.

შენიშვნა: სამუშაოთა ანაზღაურების აღნიშნული განაკვეთები მთლიანად ფარავენ ყველა ხარჯებს ქონების ძირითადი აღრიცხვისა და შეფასებისათვის (საინვენტარო დოკუმენტების ასლების ჩათვლით, რომლებიც ხელზე ეძლევა მოსარგებლეებსა და მფლობელებს).

5. საღრიცხვო სამუშაოთა წარმოებისათვის მე-4 პუნქტით დაწესებულ ქირას ახდენენ თბილისის საბჭოს კომუნალური განყოფილების არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველო ქონებათა შესაბამის მოსარგებლეებსა და მფლობელებს ორ ვადაში:

ა) სამუშაოთა დაწყებისას—75 პროცენტს,

ბ) ქონებათა მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის საინვენტარო დოკუმენტების ასლების მიცემისას—დანარჩენ 25 პროცენტს.

ქირა, რომელსაც ქონების მოსარგებლენი და მფლობელნი არ შეიტანენ კომუნალური განყოფილების არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოს მიერ დაწესებულ ვადაში, გადახდევინებული იქნება საურავის დარიცხვით უდავო წესით, რომელიც მოქმედებს გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებისას.

6. ქონებათა ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოების ასანაზღაურებლად მიღებული მთელი ფულადი შემოსავალი ჰქონის სპეციალურ სახსრებს, რომელთა შენახვა და ხარჯვა სწარმოებს მათ შესახებ შემოღებული სპეციალური წესების მიხედვით.

7. ქ. თბილისის ფარგალში არსებული ყველა დაწესებულებანი და ორგანიზაციები, აგრეთვე ცალკეული მოქალაქენი, ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ ქონებათა ტექნიკური აღრიცხვის ჩამტარებელ ორგანოს ყოველმხრივი დახმარება შემდეგი გზით:

ა) მისცენ მათი მოთხოვნისთანავე მათს განკარგულებაში არსებული ყველა გეგმები და სხვა დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც სახლთმფლობელობებს ეხება.

ბ) დაუბრკოლებლივ შეუშვან ყველა ეზოსა და სადგომში ის პირები, რომლებიც ინვენტარიზაციასა და გამოკვლევას ახდენენ.

8. ამ დადგენილების წესების დარღვევისა, არასწორი ცნობების მიცემისა ან მათი არათავისდროზე მიწოდებისათვის, ამაში დამნაშავე პირები (სახლთმფლობელნი, სახლებისმმართველნი, კომენდანტები და სხვ.) დაჯარიმებული იქნებიან ადმინისტრატიული წესით 100 მანეთამდე.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან 10 დღის გასვლის შემდეგ და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის აღმსრულებელი **კოტალამაზაშვილი**

თბილისის საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის
მოვალეობის აღმსრულებელი **ხეთაგური**

639

ბავშვთა სანატორიუმი „ბაკურიანი“

ბაკურიანი, 13 ივნისი (საკდესი). ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმში ამ ბოლო დროს ბევრ ბავშვს ეტანებოდა ანემია. ეს ავადმყოფობა ბავშვებს ეტანებოდა ბაკურიანში ჩამოსვლისთანავე